ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „სააკაშვილმა პუტინს საკუთარი თავი შესთავაზა“

გვ.2

გიგლა ბარამიძე: „რუსთაველზე კარვები გასაშლელად უკვე მზად არის“



ორშაბათი, 3 ოქტომბერი, 2016 №234 (7160) ფასი: 50 თეთრი

# გორში ირაკლი ოქრუაშვილს ესროლეს

გვ.4





„ამის თავიდათავი კალაძის ცოლისძმაა“

## პაატა ბურჭულაძე ოფისიდან იპარებოდა?

გვ.3

ლაშა დვალიშვილს რადიოში სცემეს





## ირმა ინაშვილი: „სააკაშვილს ყურებით ჩამოვათრევთ“

გვ.7



პატრიოტთა ალიანსმა ბათუმში ხალხმრავალი აქცია გამართა



## ნანა კაკაბაძე: „5 ოქტომბერს ნაციონალების აქციაზე ხუთასი კაცის მეტი არ მივა“

გვ.3

ISSN 1987-9385

## დავით ლორთქიფანიძე: „ის ტექსტი, რომლითაც ნაცები ჩანაწერებში საუბრობენ, 9 წლის განმავლობაში გვესმოდა“

გვ.7





## მანუჩარ მაჩაიძე: „ნაცმოძრაობა სანამ საკადრის პასუხს არ მიიღებს, რევოლუციაზე უარს არ იტყვის“

გვ.2

# „სააკაშვილმა პუტინს საკუთარი თავი შესთავაზა“

შორენა მარსაგიშვილი





## გიგლა ბარამიძე: „რუსთაველზე კარვები გასაშლელად უკვე მზად არის“

რა სცენარით აპირებს ნაცმოძრაობა მოქმედებას, ვინ გამოვა 5 ოქტომბერს ქუჩაში, რა მესიჯი გაუგზავნა სააკაშვილმა პუტინს ამერიკიდან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

**გიგლა ბარამიძე:**

– უკრაინელი ჩინოვნიკი, საერთაშორისო მაწანწალა მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში იმყოფებოდა, სადაც წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში იქაურ ქართველებს შეხვდა. შეხვედრაზე მან ბევრი სისულელე თქვა, სიამაყით განაცხადა, პუტინი მე რაღაცებს მითმობდა და მხვდებოდა, ივანიშვილს კი თავს არ უყადრებს, რადგანაც თავის მონად მიაჩნიაო.

***– ამ შემთხვევაში მართალია სააკაშვილი, ივანიშვილს მართლა არ შეხვედრია პუტინი.***

– რუსეთის ხელისუფლებასთან შეხვედრა და დიალოგი თავად საქართველოს ხელისუფლებამ არ მოისურვა. ამ მიშიკოს კიდევ რაღა არჩევნების წინ გაახსენდა პუტინი? რუსეთის პრეზიდენტი იმიტომ გაიხსენა, რომ ყელში ჰყავს გაჩხერილი მას ჩვენი პარტია. ჩვენი პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე წავიდა და შეხვდა პუტინს.

მის ამ განცხადებას სხვა ქვეტექსტიც აქვს. მისი ეს განცხადება რუსეთის ხელისუფლების მისამართითაც არის გაკეთებული. მიშიკო კრემლს ეუბნება, მე კარგი ბიჭი ვიყავი, პუტინიც კი მხვდებოდაო.

***– რუსეთის ხელისუფლების მისამართით არის გაკეთებულიო და მიზანი რა არის, თავს სთავაზობს ის რუსეთის ხელისუფლებას და მათგან მხარდაჭერას ითხოვს?***

– ხელისუფლებაში დაბრუნება ისე უნდა, თავს შესთავაზებს კი არა, რომ დასჭირდეს, საკუთარი ოჯახის წევრებს ცოცხლად გააძრობს ტყავს. პუტინი კი არა, რუსეთის ხელისუფლების რომელიმე მაღალი რანგის ჩინოვნიკი ხელისუფლებაში დაბრუნებას რომ შეჰპირდეს, დაოთხილი ჩავა. არ ჩასულა მოსკოვში, არ უმათხოვრია თუ რა? რუსეთს მაშინ ემათხოვრება, როცა ძალიან უჭირს. ახლაც სიამოვნებით წავა რუსეთში.

მისგან განსხვავებით, ჩვენი ლიდერი იქ ღიად და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად მიდის. ის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ესაუბრება რუსეთის პირველ პირებს. სააკაშვილი და მისი გუნდი რუსებთან იმიტომ გარბიან, რომ ქვეყანას უღალატონ. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, საერთაშორისო ფორუმებზე ტუალეტებთან და კაფეებთან როგორ უსაფრდებოდა მსოფლიო ლიდერებს. აგვისტოს ომის შემდეგ მისთვის ხელის ჩამორთმევა არავის სურდა, ეს მათ წინ ხვდებოდა და ისინიც იძულებული იყვნენ, სააკაშვილისთვის გამარჯობა ეთქვათ. მის მიერ კონტროლირებადი მედია ნაძალადევად ხელის ჩამორთმევას საქმიან შეხვედრად ასაღებდა. სააკაშვილი ასეთი ყალთაბანდია და მე რა ვუთხარი იმ ხელისუფლებას, რომელმაც ქვეყანას ვერაფრით მოაშორა ჭირი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია.

***– ამბობენ, ამას ჩვენც ძალიან განვიცდით, მაგრამ დასავლეთმა არ მოგვცა დამნაშავეების დასჯის უფლებაო.***

– ვერც ამერიკის შეერთებული შტატების და ვერც რომელიმე სხვა ქვეყნის ელჩი მათ დაფარვას ვერ გაბედავდა, „ქართულ ოცნებას“ მამხილებელი დოკუმენტები რომ წარედგინა. „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ჩვენ გამოვამზეურებთ იმ სიბინძურეებს, რაც სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა ჩაიდინეს. ეს კარგად იცის ოდესის ოლქის გუბერნატორმა და ამიტომაც გამუდმებით ჩვენს ხსენებაშია.

მისი ადგილი არის ციხეში და მას აუცილებლად ჩავაყუდებთ იქ. მისი და მისი დამქაშების გასამართლების გარეშე სამართალი ვერ იზეიმებს. პარტიის ლიდერებმა და „ისპალნიტელებმა“ პიჯაკები ჩაიცვეს, მაგრამ არაფერი გამოუვათ, პიჯაკებიდან კალაშნიკოვები და სისხლიანი ხელები უჩანთ.

***– სააკაშვილს დავიჭერთო, ამბობთ, მან კი ამერიკაში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ მას არასდროს დაუჭერია პოლიტიკოსები, მათ შორის არც ნინო ბურჯანაძე, რომელმაც, მისი თქმით, 26 მაისს სისხლიანი პროვოკაცია მოაწყო.***

– პოლიტიკოსი რატომ არ უნდა დაიჭირო, პოლიტიკოსობა იმუნიტეტი კი არაა. თუ ამ სახელს ყაჩაღი და მკვლელია ამოფარებული, უნდა დაიჭირო. ასევე ისეთივე მოღალატეც უნდა დააპატიმრო, როგორიც სააკაშვილია. კაცი ვითომ ქურდებს ებრძოდა და თავად გახდა ნომერ პირველი ბაცაცა და ყაჩაღი.

ახლა რაც შეეხება პოლიტიკოსების დაკავებას, მინდა, ყველას გავახსენო, რომ ირაკლი ბათიაშვილს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ერთი სატელეფონო ზარისთვის. მან კოდორის მოვლენების დროს ემზარ კვიციანს დაურეკა და საუბრის ბოლოს უთხრა, ცუდი არაფერი მოხდეს, გამაგრდით, ბიჭებოო.

„ქართულმა ოცნებამ“ თავისი ნდობის მანდატი ისე ამოწურა, რომ მათი ერთადერთი დასაყრდენი ის ზიზღია, რაც ქართველებს ყოფილი ხელისუფლების მიმართ აქვს. ამიტომ არის, რომ პერიოდულად წამოსწევენ ხოლმე მიშას დაბრუნების თემას.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს დაბრუნება არ უნდა და ამას „ოცნება“ ხალხის დასაშინებლად იგონებს?***

– სააკაშვილს საქართველოში დაბრუნება, ბუნებრივია, უნდა, მაგრამ ამ თემით „ქართული ოცნება“ სარგებლობს, თორემ ჯერ კიდევ 3 წლის წინ ვამბობდი – სააკაშვილს როგორც კი საშუალება მიეცემა, აქედან წაღებული ფულით საქართველოში არეულობას დაგეგმავს და დაბრუნებას შეეცდებამეთქი.

ამისთვის მან ნიადაგიც მოამზადა, არასამთავრობოები და ახალგაზრდული ორგანიზაციები შექმნა, უმაღლეს სასწავლებლებში შევიდა, როგორც კიბო. უკრაინაში მას ჰყავს შეიარაღებული ფორმირება, რომლის წევრებიც მზად არიან, საქართველოში ჩამოვიდნენ.

ეს ამბავი მე თუ ვიცოდი, ხელისუფლებას არ უნდა სცოდნოდა? ახლა რომ მოინდომეს ყველაფერი, იარაღების სამალავები გათხარეს და ხალხს ზაფრავენ – სააკაშვილი მოდისო. თქვე მართლა ჩაჩნებო, მისი ჩამოსვლა თუ არ გინდოდათ, სად უშვებდით, აქ არ გყავდათ? ან ახლა რომ იბარებთ გია ლორთქიფანიძეს, აქ არ იყო? კაცზე საქმე იყო აღძრული და ქვეყნიდან გაუშვით. ვის ატყუებთ? მსგავსი მეთოდები არ გავა. მათ ძალიან კარგად იციან, რომ სააკაშვილს მათ შესაცვლელად რესურსი არა აქვს, თორემ საქართველოში ხელისუფლება უკვე შეცვლილი იქნებოდა.

***– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რესურსი არა აქვსო? თავად არ თქვით, ნიადაგი მოამზადა და შეიარაღებული ჯგუფიც კი ჰყავსო?***

– ნიადაგი მომზადებული აქვს და არც უფულობას უჩივის, მაგრამ ხალხის სათანადო მხარდაჭერა არ აქვს. იმიტომ ვუხდით სპეცსამსახურებს ფულს, რომ ასეთი რამეები ადრევე აღკვეთონ და არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე არ დაიწყონ ფაფხური.

***– ხალხის სათანადო მხარდაჭერაში რას გულისხმობთ?***

– იმ ოდენობის ხალხი არ უჭერს მხარს, რაც მისი სცენარის განხორციელებისთვის არის საკმარისი. ეს მხარდაჭერა რომ ჰქონოდა, დიდი ხნის წინ შეცვლიდა ხელისუფლებას. გაზეთებს სპეცსამსახურების წარმომადგენლები კითხულობენ და მინდა ვუთხრა, თუ რა სცენარით აპირებს სააკაშვილი მოქმედებას. მას და მის გუნდს რამდენიმე სცენარი აქვთ შემუშავებული.

თუ მისთვის საჭირო რაოდენობის ხალხის გამოყვანა შეძლო, მათ ჩაიყვანს სარფში, თავად საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის გავლით შემოვა, ამ ხალხის შუაში ჩადგება და ასე ჩამოვა თბილისში. 100.000 კაცთან გამკლავებას ვერცერთი ხელისუფლება ვერ გაბედავს და ვერც სააკაშვილს დააკავებენ.

მეორე ვერსიით, ოდესის გუბერნატორი თბილისის აეროპორტში ჩამოფრინდება. ათეულობით ათასი მომხრე მას იქ დახვდება და რუსთაველზე მიიყვანენ, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერ პანღურებით გამოყრიან კაბინეტებიდან, შემდეგ კი ციხეებში ჩაყრიან.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ თუ 100.000 მხარდამჭერს ვერ მოაგროვებს, საქართველოში არ ჩამოვა?***

– თუ მის ფსიქოტიპს გავითვალისწინებთ, სხვა შემთხვევაში საქართველოში დაბრუნებას ვერ გაბედავს.

***– 5 ოქტომბერს ყოფილი ხელისუფლება გრანდიოზული აქციის გამართვას აპირებს ვარდების მოედანზე. „ოცნებას“ ამ აქციის ძალიან ეშინია და ვარაუდობს, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.***

– არანაირი გადამწყვეტი არ იქნება. ახლავე გეტყვით, რომ ნაციონალები საჭირო ოდენობის ხალხს ვერ გამოიყვანენ. ამ აქციაზე ხელფასზე მყოფ კოორდინატორებს, აგიტატორებს, უბნისა და ზონის უფროსებს, თავიანთ ცოლებს, საყვარლებს, საყვარლების საყვარლებს, ძაღლებისა და კატების მომვლელებს, მძღოლებს, პარიკმახერებსა თუ სტილისტებს გამოიყვანენ. რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბება, იხტუნავებენ და წავლენ.

ექსკლუზიურად გეუბნებით, ყველაფრის მიუხედავად, კარვები აქვთ გამზადებული – თუ სიტუაცია შეიცვალა, უცბად რომ დასცენ რუსთაველზე. გამზადებული აქვთ რაღაც სამკლავურებიც. მზად არიან მათი მედიაჯგუფები. ისინი მოვლენებს ისე გააშუქებენ, თითქოს ყოფილი ხელისუფლება დემოკრატიის დასაცავად გამოვიდა ქუჩაში.

ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ სცენარია და მას ამ ეტაპზე განხორციელება არ უწერია. თუ ხელისუფლებამ გააგრძელა ნამდვილი ოპოზიციისა და მათ შორის ჩვენი პარტიის შევიწროება, მაშინ ნაციონალებს წინ აღარავინ დაუდგება.

***– რა შევიწროებაზე საუბრობთ?***

– შევიწროებაა, აბა რა არის, კუთვნილი საეთერო დრო წაგვართვეს, ჩვენთვის განკუთვნილი უფასო სარეკლამო დრო იმ პარტიებს გადაუნაწილეს, რომლებიც ჯერ კოალიციაში შეიფარეს, შემდეგ კი იქიდან კინწისკვრით გამოყარეს. შევიწროებაა, როცა კუთვნილ თანხას არ გვაძლევენ, გვეუბნებიან, ფული გეკუთვნით, მაგრამ არჩევნების შემდეგ მიიღებთო. არჩევნების მერე რად გვინდა? პლაკატები რომ დაგვებეჭდა, ვალები ავიღეთ. „ქართულ ოცნებას“ რა უჭირს, ბიძინა ივანიშვილმა ასესხა მილიონი.

***– სხვა სახის შევიწროებას თუ აქვს ადგილი, იმავე მთაწმინდის ოლქში, სადაც მაჟორიტარად იყრით კენჭს?***

– მთაწმინდაზე განსაკუთრებული არაფერი ხდება, პლაკატების ჩამოხევის გარდა.

***– ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ თუ ცესკო მათთვის სასურველ შედეგს არ დადებს, ისინი ქუჩაში გამოვლენ.***

– ამაზე წინასწარ საუბარი სწორი არ იქნება. ერთ რამეში, ალბათ, ეჭვი არავის ეპარება, რომ ჩვენ სამშობლოს გამყიდველებთან, ნაციონალების სატელიტ 0%-იანებთან და თახსირ პოლიტიკოსებთან არ ვითანამშრომლებთ.

***– ანუ, რაც არ უნდა მოხდეს, ქუჩაში არ გამოხვალთ?***

– თუ მოხდა გაყალბება, ჩვენს ხმებს აუცილებლად დავიცავთ და სათქმელსაც ვიტყვით. არა მგონია, ისე გამოსულელდეს ხელისუფლება, რომ საქმე აქამდე მივიდეს.



# დაჭრეს ჯანსუღ ჩარკვიანის შვილიშვილი

1 ოქტომბერს, გვიან ღამით, თბილისში მომღერალ მამუკა ჩარკვიანის ვაჟი, ჯანსუღ ჩარკვიანის შვილიშვილი ჯაკო ჩარკვიანი დაჭრეს.

19 წლის ახალგაზრდას ცეცხლსასროლი იარაღით 3 ჭრილობა აქვს მიყენებული, 1 ყელში და 2 – ფეხებში.

დაზარალებულის ახლობლების ინფორმაციით, ჯაკო ჩარკვიანს 1 ოქტომბერს გვიან ღამით ოპერაცია ჩაუტარდა, სხეულიდან ტყვიები ამოუღეს და ამჟამად რესპუბლიკურ საავადმყოფოში წევს.

როგორც ამბები.გე-ს რესპუბლიკურ საავადმყოფოში განუცხადეს, პაციენტი ჩარკვიანი კლინიკაში გამთენიისას შეიყვანეს. მას ოპერაცია ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია და ახლა მკურნალობის კურსს პალატაში გადის.

ინფორმაციას შვილის დაჭრის შესახებ მომღერალი მამუკა ჩარკვიანი უარყოფს.

თამარ ბოჭორიშვილი, ამბები.გე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნანა კაკაბაძე: „5 ოქტომბერს ნაციონალების აქციაზე ხუთასი კაცის მეტი არ მივა“

ნონა ცაბაძე

არჩევნებამდე ხუთი დღე რჩება. დაიძაბება თუ არა ვითარება? შეძლებენ თუ არა ნაციონალები არეულობის მოწყობას? გრანდიოზული იქნება თუ არა მათ მიერ დაანონსებული 5 ოქტომბრის აქცია? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ნანა კაკაბაძე პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, არჩევნებამდე 5 დღე რჩება. გამუდმებით საუბრობენ მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე. ფარულ ჩანაწერებში ნაციონალების ლიდერები კადაფიზაციაზე ლაპარაკობენ. რამდენად არიან ამ ყველაფერზე წამსვლელები?***

– ნაციონალები ძალაუფლების მოსაპოვებლად და მისი უზურპირებისთვის ყველაფერზე არიან წამსვლელნი. თუმცა დღეს მთავარი ის არის, თუ რა შესაძლებლობები გააჩნია ნაციონალურ მოძრაობას.

***– ერთხელ ხომ უკვე წავიდნენ ამაზე?***

– 2003 წელს, როდესაც მათ მოახდინეს გადატრიალება, მაშინ საზოგადოების ნაწილი იყო მოტყუებული და მათ ჰქონდათ ხალხის მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა ძირითადად იყო იმის განმსაზღვრელი, რომ მათ გაბედეს წასვლა რევოლუციაზე. დღეს ისინი იმდენად გაკოტრებულები არიან ქართველ საზოგადოებაში და საქართველოს მოსახლეობამ იმდენად კარგად იცის, რა უბედურება დაატრიალა 9-წლიანმა რეჟიმმა ქვეყანაში, იმ მცირე რაოდენობის სექტის გარდა, ვინც მათ გვერდით არის, მთელი საქართველო ამხედრდება მათ წინააღმდეგ.

***– ეს ნაციონალებს არ ესმით?***

– ძალიან კარგად ესმით. კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში ისინი იმხელა რისხვას ელიან საზოგადოებისგან, რომ ამას ვერ გაბედავენ.

***– საშუალება რომ მიეცეთ, არიან ამაზე წამსვლელები?***

– რა თქმა უნდა! ყველაფერზე არიან წამსვლელები, მაგრამ ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ეს მათთვის კატასტროფა იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამაზე წავიდოდნენ. ნაციონალებმა კარგად უნდა დაიმახსოვრონ, ერთი უკანონოდ გადადგმული ნაბიჯი და ხელისუფლება სულ არ იქნება საჭირო, მათ საზოგადოება ისე წალეკავს. ამიტომ ისინი ამას ვერ გარისკავენ. არის მეორე – დასავლეთის ფაქტორი. 2003 წელს მათ დასავლეთის მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდათ. დღეს ეს მხარდაჭერა არ არსებობს.

***– ფაქტია, რომ მაინც ჰყავთ მათ მხარდამჭერები. სენაკში სანდრა რულოვსის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ჩვენ ვნახეთ, როგორი დაპირისპირება მოხდა ბუტა რობაქიძის დედას, ია მეტრეველსა და რულოვსის მომხრეებს შორის.***

– ეს ხომ ის ხალხია, რომლებსაც ავტობუსებით სანდრა ყველა შეხვედრაზე დაატარებს. რა რაოდენობა იყო?! მაქსიმუმ 200 კაცი. განა 200 და 300 კაცი განსაზღვრავს არჩევნებში რაიმეს?! საერთოდ, ასეთი ბნელი ძალების მხარდამჭერები ყოველთვის არიან აქტიურები და აგრესიულები. ისინი იმდენად უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენენ, რომ საზოგადოებაში ვერანაირ კლიმატს ვერ ქმნიან. სწორედ ამიტომაც დატოვა რულოვსმა ის შეხვედრა და წავიდა.

***– ჩვენ მოვდივართ სუფთა ხელებითო. რამდენად სუფთა ხელები აქვთ?***

– ეს უკურეაქციას იწვევს. ხალხმა ყველაფერი იცის, საკუთარ კანზე აქვს გამოცდილი. ის მაინც ილაპარაკონ – კი ბატონო, სისხლიანი ხელები გვქონდა, მაგრამ ეს ამის და ამის ბრალი იყო, დაასახელონ გვარები, თქვან, რომ მოიკვეთებიან ჩვენი რიგებიდან, ჩვენ ეს არ გვინდოდა და კიდევ შეიძლება რაღაც პროცენტი საზოგადოების დადებითად განეწყოს. როდესაც ამბობს, სუფთა ხელებით მოვდივართ პოლიტიკაშიო, მათსავე საწინააღმდეგო ტექსტებს ლაპარაკობენ. საზოგადოებას, მათი შემხედვარე, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამათი საშველი არ არის. განცდა იმისა, რომ მათ ქვეყანა დააქციეს, ოჯახები გააუბედურეს, მათ არ გააჩნიათ!

***– აღიარებაზე უნდა წასულიყვნენ?***

– დიახ, სწორედ ეს იყო მათი გადარჩენის ერთადერთი შანსი. რომ ეფარება მიშა სააკაშვილის სახელს, რა ცოლიც არის და რა ქმარიც, რა ოჯახი აქვთ და ურთიერთობაც, ხომ ყველამ კარგად იცის!

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, თუ რა ურთიერთობა აქვს ამ ორ სუბიექტს ერთმანეთთან. რამდენჯერ მიფიქრია, არჩევნებს რომ წააგებს ეს სანდრა და დარჩება ხელმოცარული, სად უნდა წავიდეს, ვისთან?! უკრაინაში მიშასთან?! იმას რაში სჭირდება? სად აქვს წასასვლელი ამ ადამიანს? ჰოლანდიაში თუ დაბრუნდება. ასეთ მდგომარეობაში ხარ, შე დალოცვილო და კი მაინც ილაპარაკე იმაზე, რომ ამას აკეთებდა მიშა, რომ საშინელება იყო მისი რეჟიმი, მე მათნაირად არ ვფიქრობ და მე მათ ვემიჯნები. ამ შემთხვევაში კიდევ რაღაცა შანსი შეიძლება ჰქონდეს.

***– მიშა აცხადებს, სანდრა იგივე მე ვარო და სანდრასგანაც მოვისმინეთ ანალოგიური განცხადებები.***



– ჰოდა, რომ წააგებს არჩევნებს, მერე დავინახავთ, სად წავა სანდრა.

***– მაშ, რა აიძულებს სანდრას, რომ მიშას სახელით მოვიდეს პოლიტიკაში, მასზე დადებითად ისაუბროს? რამე ვალდებულებები აქვს?***

– რა თქმა უნდა, სერიოზული ვალდებულებები აქვს. სანდრა არ არის ჩვეულებრივი ფიგურა, ჩვეულებრივი ადამიანი.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ მის პიროვნებაზე ათასი ინფორმაცია არსებობს მისი სპეცსამსახურებთან ურთიერთობის და ასე შემდეგ. დღეს სანდრას სისხლხორცეულად სჭირდება, თავისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, თავისი არჩევანიდან გამომდინარე, რომ არ აღმოჩნდეს თამაშგარე. თუ თამაშგარე აღმოჩნდება, ის აღარავის დასჭირდება. აქედან გამომდინარე, ის ცდილობს, იყოს მოთამაშე ფიგურა, რომ ვიღაცას დასჭირდეს.

თუ ის არ მოვა პოლიტიკაში, მაშინ აღარავისთვის საჭირო აღარ იქნება, აღარც მიშასთვის და აღარც გრიშასთვის. ამიტომ მან ეს გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ მასაც აწყობდა. მაგრამ ვნახავთ, წაგების შემთხვევაში სად წავა სანდრა, სად აქვს მას წასასვლელი.

***– თქვენ ამბობთ, რომ ნაციონალებს ჰყავთ მცირერიცხოვანი მხარდამჭერები და მათ დაატარებენ აქეთ-იქით. ამ მცირერიცხოვანი მასით რამდენად შეძლებენ დესტაბილიზაციის კერების შექმნას?***

– დესტაბილიზაცია უფრო ფართო ცნებაა, მათ კი შეუძლიათ მხოლოდ ხულიგნური და დებოშური სიტუაციების შექმნა, რაც ვერანაირ სერიოზულ ამინდს ვერ შექმნის ვერც არჩევნების დროს და ვერც არჩევნების მერე. ეს არ არის 2003 წლის შევარდნაძის ძირმომპალი რეჟიმი, რომელსაც შეიძლება, ძალის გამოყენებით დაემუქრო.

***– 5 ოქტომბერს ნაციონალები საპროტესტო აქციას აანონსებენ. რას ელოდებით?***

– დავინახავთ, რომ ეს გრანდიოზული აქცია რამდენიმე ადამიანის იქით არ წავა. მივა დაახლოებით 500 კაცი. მეტი ეგენი არ არიან. ეს აქცია პრობლემას არ წარმოადგენს, მაგათი სიმღერა უკვე დასრულებულია. ნაციონალებმა უკვე იმღერეს გედის სიმღერა და დაასრულეს თავიანთი პოლიტიკური კარიერა! 8 ოქტომბერი მათთვის არჩევნები კი არ არის, ეს მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

***– სწორედ ამიტომ ხომ არ არიან საშიშები?***

– საშიშები ნამდვილად არიან. დღეს თითოეული მათგანის არსებობაა საშიში ჩვენი ქვეყნისთვის. თუმცა დღეს მათ იმის რესურსი არ გააჩნიათ, რომ ეს დამანგრეველი ძალა მოვიდეს ხელისუფლებაში. ბარიერის გადალახვის იქით დღეს მათი შანსი არის ნული! ბარიერიც რომ გადალახონ, ესეც სათუოა. ისინი ვერც გაყალბებას შეძლებენ და ვერც – კარუსელის ტრიალს.

***– სამართალდამცავებმა იარაღის გადამალული არსენალი აღმოაჩინეს. ეს რამდენად სახიფათოა?***

– სამართალდამცავებს არჩევნებისთვის სერიოზული მუშაობა მოუწევთ. სხვა თუ არაფერი, ნაციონალები იმდენნი ხომ არიან, რომ ამის გამოყენება და გასროლა მოახერხონ. ამ მხრივ სიტუაცია სახიფათოა. სისხლი არ უნდა დაიღვაროს. ეს „ოცნებისთვის“ სახიფათოა. ნაციონალები ხედავენ, რომ თვითონ არაფერი გამოუვათ და ახლა გადართულები არიან იმაზე, რომ „ოცნებაც“ თან გაიყოლონ! თუ გასროლა მოხდა და სისხლი დაიღვარა, მართალია, აქ ნაციონალების მოსვლაზე არ არის საუბარი, მაგრამ ამ ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, სუსსა და პროკურატურას ამ კუთხით სერიოზული სამუშაო აქვთ ჩასატარებელი. ყველაფრის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი სახელმწიფო ამ ხიფათს თავს გაართმევს. მთავარია, მათ ქვეყანაში სისხლის დაღვრის საშუალება არ მიეცეთ.

## „ოცნების“ კამპანია კორუფციული სქემით ფინანსდება“

„პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლები საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაში კორუფციული სქემის არსებობაზე მიუთითებენ.

როგორც ბრიფინგზე საარჩევნო ბლოკის მაჟორიტარობის კანდიდატებმა გურამ ჩალაგაშვილმა და ნინო ტალალაშვილმა განაცხადეს, მედიკამენტების ფასებზე მანიპულირების გზით ტენდერები კონკრეტულ ფარმაცევტულ კომპანიებს გადაეცემა, შემდგომში, მედიკამენტების გადაცემის სანაცვლოდ, ფულის გათეთრება ხდება და აღნიშნული ფულის ნაწილით „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია ფინანსდება.

მათი განცხადებით, კორუფციულ სქემაში პეესპე და მისი ხელმძღვანელი კახაბერ ოქრიაშვილი არიან ჩართული, რომელიც წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატია.

– მოქმედებს წამლების შეძენა-გასაღებასთან დაკავშირებული კორუფციული სქემა, რომელშიც ჩართული არიან სხვადასხვა სამინისტროს მაღალჩინოსნები, სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები და ფარმაცევტული კომპანიების ხელმძღვანელები. ერთ-ერთი ასეთი ფარმაცევტული კომპანიის ხელმძღვანელი გახლავთ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი კახაბერ ოქრიაშვილი. სწორედ მისი კომპანია გახლავთ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელი, – განაცხადა გურამ ჩალაგაშვილმა.

**ნინო ტალალაშვილი:**

– ათობით მილიონი ლარი ბრუნავს, ოღონდ ბრუნავს არა მოსახლეობის, არამედ, კონკრეტული ჩინოვნიკების სასიკეთოდ, რადგან თანხის დიდი ნაწილი უბრუნდება ისევ ფარმაცევტულ კომპანიებს, რომლებიც საარჩევნო კამპანიების პერიოდში არიან „ქართული ოცნების“ დამფინანსებლები.

**მედიანიუსი**

# პაატა ბურჭულაძე ოფისიდან იპარებოდა?

შორენა მარსაგიშვილი

**პაატა ბურჭულაძის პარტია ისევ შარშია. პირდაპირ ეთერში მათი მაჟორიტარობის კანდიდატი გალახეს, პარტიას კი ინვენტარი წაართვეს და კომპიუტერული ტექნიკა დაუყადაღეს.**

**გამოცემა პრაიმ-ტაიმის ინფორმაციით, ბურჭულაძეს ნაქირავები ცენტრალური ოფისიდან გაქცევის დროს მეპატრონეებმა მიუსწრეს. აღნიშნული ფაქტი გუშინ, 2 ოქტომბერს, გამთენიისას მოხდა.**

ფართის მეპატრონის ცნობით, პაატა ბურჭულაძე და მისი გუნდი მალულად ცდილობდნენ, დაეცალათ ოფისი და მასთან შეუთანხმებლად გაპარულიყვნენ.

როგორც ფართის მფლობელი უშანგი ბუჩუკური აცხადებს, პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“ მისთვის 3 თვის ქირა აქვს გადასახდელი. თანხა, ჯამში, 54.000 დოლარს შეადგენს.

– ჩვენ გავაფრთხილეთ, რომ გადაეხადათ დავალიანება, მეორე დღეს კი ოფისიდან ავეჯის გაზიდვა დაიწყეს. მე შემატყობინა დაცვამ, მოვედი და პარტიის წევრებს ავეჯი არ გავატანეთ, დავლუქეთ პარტიის ოთახები და ველოდებით სამ საათს, რომ მივიღოთ ზუსტი პასუხი, როდის გადაიხდიან დავალიანებას. ეს ყველაფერი ყოვლად წარმოუდგენელია, გაუგებარია, სად მიჰქონდათ ჩუმად პარტიის ინვენტარი, – აცხადებს უშანგი ბუჩუკური.

რაც შეეხება ლაგოდეხში პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატ ლაშა დვალიშვილის ცემას, ეს ინციდენტი რადიო „ჰერეთის“ პირდაპირ ეთერში მოხდა.



## ლაშა დვალიშვილს რადიოში სცემეს

„ჰერეთის“ ცნობით, უცნობი პირები რადიოს ოფისში იმ დროს შეცვივდნენ, როცა მაჟორიტარობის კანდიდატების მონაწილეობით წინასაარჩევნო დებატები მიმდინარეობდა.

შეჭრილთაგან ერთ-ერთი თავს ლაშა დვალიშვილს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. რადიო „ჰერეთის“ წამყვან გიორგი ალადაშვილის განცხადებით, უცნობმა მამაკაცმა ლაშა დვალიშვილს ჯერ წიხლი ჩაარტყა, შემდეგ კი სახეში გაარტყა.

– დაახლოებით ნახევარი საათის დაწყებული იქნებოდა გადაცემა. შვიდი კანდიდატი მონაწილეობდა დებატებში. მათ შორის იყო ლაშა დვალიშვილიც. როდესაც ლაშა საუბრობდა, ზუსტად იმ დროს ხმაური შემოგვესმა. შემოვარდა ერთი მამაკაცი, რომელიც ლაშა დვალიშვილს ფიზიკურად გაუსწორდა. რაც დავინახეთ, წიხლი ჩაარტყა და სახეშიც გაარტყა. შემდეგ სხვა კანდიდატები წამოდგნენ და გააშველეს, შენობის გარეთ გაიყვანეს. ერთადერთი, რაც მე გავიგე, „შენ მისწერე ესემესი“? – ყვიროდა თავდამსხმელი. უბრალოდ, ვერ ვიხსენებ, ვისი სახელი თქვა მამაკაცმა. ჩვენმა თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს და ლაშა დვალიშვილი გამოკითხვაზე გადაიყვანეს, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გიორგი ალადაშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, ლაშა დვალიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა თანამშრომლის მეუღლემ და მისმა მეგობრებმა მიაყენეს. კოორდინატორის მეუღლემ დვალიშვილის ცემა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ცოლის ტელეფონში დვალიშვილის გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება წაიკითხა. რა წერია ამ შეტყობინებაში, არავინ ამხელს. თავად დვალიშვილი ამბობს, რომ სმს-ები მხოლოდ საქმესთან დაკავშირებით აქვს გაგზავნილი. მომხდარს ის გაუგებრობას უწოდებს.



მომხდართან დაკავშირებით პოლიციაში დვალიშვილი დაიბარეს, თუმცა საქმეზე გამოძიება არ მიმდინარეობს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სამართალდამცავებს ინციდენტის თვითმხილველებიც არ გამოუკითხავთ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მანუჩარ მაჩაიძე: „ნაცმოძრაობა სანამ საკადრის პასუხს არ მიიღებს, რევოლუციაზე უარს არ იტყვის“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე ესაუბრა პარტია „თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსათვის“ წარმომადგენელ მანუჩარ მაჩაიძეს.

**მანუჩარ მაჩაიძე:**

– აღმაშფოთებელია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მისი გაქცეული ლიდერი სააკაშვილი რევოლუციით იმუქრებიან. ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. ნაციონალების განცხადებები და მოქმედებები ბოლო 4 წლის განმავლობაში მუქარის შემცველია. ამ დღეებში ამას დაემატა ახალი ჩანაწერი, რომელიც სახიფათო ფრაზებს შეიცავს. ითვლება, რომ ავთენტურობის დადგენამდე ამაზე არ უნდა ვისაუბროთ. ძალიან გაჭიანურდა ამ ჩანაწერის ნამდვილობის დადგენა. რევოლუციასა და ძალადობრივ გეგმებზე ნაცმოძრაობის ლიდერები ამ ჩანაწერამდეც საჯაროდ და გასაგებად საუბრობდნენ.

***– ეს, უბრალოდ, მუქარებია თუ მოსალოდნელია მოვლენების რევოლუციურად განვითარება?***

– ნაციონალები თუ რაიმე დაპირებას ასრულებენ, ეს მუქარებია. როგორც წესი, ისინი მუქარებს საქმედ აქცევენ ხოლმე. ზოგი თავს იმით იმშვიდებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას ხალხის მხარდაჭერა არ გააჩნია და ვერაფერს მოაწყობს. სახელმწიფო გადატრიალებას უამრავი ხალხი არ სჭირდება. პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ისე დაამხეს, რომ მასები არ გამოუყენებიათ. პირიქით, მაშინ ხალხი პრეზიდენტს უჭერდა მხარს და გადატრიალების მოწინააღმდეგე იყო. 2003 წელს კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. მართალია, შევარდნაძეს ხალხში ცოტა მომხრე ჰყავდა, მაგრამ ქუჩაში მის წინააღმდეგ ბევრი არ გამოსულა. ე.წ. ვარდების რევოლუციისას მიტინგზე, მაქსიმუმ, 50.000 კაცი შეკრიბეს მთელი საქართველოდან.

***– ახლაც რეალურია ტექნოლოგიების გამოყენება რევოლუციის მოსაწყობად?***

– რა თქმა უნდა. ხელისუფლებამ ამის წინააღმდეგ პრევენციული ზომები უნდა მიიღოს.

***– ხელისუფლებამ გააკეთა პრევენციული განცხადებები.***

– საჭიროა ქმედითი ზომები კანონის ფარგლებში. არ მესმის, რატომ უყურებს გულხელდაკრეფილი ეს ხელისუფლება ნაცმოძრაობის სამზადისს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ნაცმოძრაობა მხოლოდ სააკაშვილის მმართველობის დროს არ ანგრევდა ქვეყანას და მხოლოდ 2003-2012 წლებში არ უწყობდა გენოციდს საკუთარ ხალხს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– საკუთარი მოსახლეობისათვის აუტანელი პირობების შექმნა დაიწყო დაახლოებით 20 წლის წინ. მაშინ ხელისუფლებაში იმყოფებოდა მოქალაქეთა კავშირი შევარდნაძის ხელმძღვანელობით. ნაცმოძრაობის დღევანდელი ლიდერების ნაწილი მოქკავშირში იყო. იმ დროიდან მოყოლებული, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველო დაიცალოს ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ნაცმოძრაობის მმართველობის დროს ამ პროცესს უფრო ინტენსიური ხასიათი მიეცა. სააკაშვილი აცხადებდა, რომ ქართველი ხალხი ზარმაცია და მუშაობა არ უნდა. შე ოჯახაშენებულო, სამსახურს რომ წაართმევ, როგორღა იმუშავებს? ლუკმაპურის ძიებაში საქართველო დატოვა დაახლოებით 2 მილიონმა მოქალაქემ. ამ ადამიანების უმრავლესობა მონურ მდგომარეობაშია უცხოეთში. ასეთმა მოპყრობამ ერი გადაშენების პირას მიიყვანა. ეს ეწინააღმდეგება გაეროს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის პრინციპებსა და დოკუმენტებს. საერთაშორისო სამართალი კრძალავს ერების მოსპობას და ასიმილაციას. ეს პრინციპები მოქმედებს ცივილიზებულ მსოფლიოში, მათ შორის, ბოშებთან მიმართებით. რატომღაც საქართველოს არ შეეხო ეს ნორმები.

***– ასეთი პოლიტიკა შეცდომების შედეგია?***

– ეს იყო მიზანმიმართული ქმედებები. საქართველო უნდა დაცლილიყო ადგილობრივი მოსახლეობისაგან. სააკაშვილი აპირებდა აქ სხვების ჩამოსახლებას. ის ამას არც მალავდა. ხალხის გაღატაკებას ხელი შეუწყო ეკონომიკის განვითარების მონეტარულმა მოდელმა, რომელიც შევარდნაძის დროს დაინერგა. ეს მოდელი ზოგიერთ განვითარებულ სახელმწიფოში ამართლებს. საქართველოსთვის ის შეუთავსებელია. ამ პირობებში საჭირო ხდება ლარის კურსზე ზემოქმედება ანუ შეგნებული ინფლაცია. ქადაგიძის დროს ეროვნული ბანკი ნაცმოძრაობის ხელში იყო და მაშინ ლარის კურსის დაცემას სხვა მიზეზებიც განაპირობებდა.

***– მიგაჩნიათ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა შესაცვლელია?***

– ჩვენთვის სასიცოცხლოა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ასევე იაფი გრძელვადიანი კრედიტების გაცემა მოქალაქეებისათვის. შესამცირებელია სასესხო პროცენტები ბანკებში. „ქართულ ოცნებას“ 2012 წელს ისეთი მძიმე მდგომარეობა დახვდა, რომ მყისიერად სიტუაციას ვერ გამოასწორებდა. მოქკავშირისა და ნაცმოძრაობის მიერ 20 წლის განმავლობაში გაფუჭებულ საქმეს 4 წელიწადში ვერავინ უშველიდა. ყველაზე არაადეკვატური ისაა, რომ ნაცმოძრაობა ეკონომიკურ დაპირებებსა და სიახლეებს სთავაზობს ამომრჩეველს. ნაციონალები ისეთი რიხით ლაპარაკობენ ჩავარდნაზე ეკონომიკაში, თითქოს ეკონომიკა მათი დანგრეული არ იყოს.

***– მომავალ პარლამენტში შეიძლება, მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა მოხვდნენ?***

– არა მგონია. ნაცმოძრაობის რეიტინგი დაახლოებით 7 ან 8%-ია. ამასაც მოსყიდვებით მიაღწია. ასეთ შემთხვევაში, რა გამოვა, დანარჩენი ადგილები მარტო „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაიკავოს? პარლამენტში აუცილებლად უნდა მოხვდნენ სხვებიც, განსაკუთრებით, ეროვნული ძალები. თუ ნაციონალური მოძრაობის არაოფიციალური დევიზი იყო „საქართველო ქართველების გარეშე“, ჩვენი დევიზია „საქართველო ყველასათვის“.

***– ნაცმოძრაობის მიერ 5 ოქტომბერს დაანონსებულ აქციას ზოგი მაიდანის რეპეტიციას უწოდებს. მოსახლეობის ნაწილი შიშმა შეიპყრო.***

– რისი ეშინიათ? მუდმივად შიშში ხომ ვერ ვიცხოვრებთ? ნაციონალებმა ბევრი რამის გამო პასუხი უნდა აგონ. შიში მათ უნდა ჰქონდეთ. ჩვენ მართლები ვართ, მაგრამ მათგან თავი უნდა დავიცვათ. მოქალაქეებს შეუძლიათ, მშვიდობიანად ჩამოაშორონ ქვეყანას ნაცმოძრაობა. ამისათვის აქტიურობაა საჭირო. რაც მეტი ამომრჩეველი მივა 8 ოქტომბერს საარჩევნო უბნებზე და გააკეთებს არჩევანს სხვების სასარგებლოდ, მით ნაკლები შანსი ექნება ნაციონალურ მოძრაობას, იყოს პარლამენტში. სხვებში არ ვგულისხმობ ნაციონალური მოძრაობის სატელიტებს. ამ სატელიტების განცხადებები ზუსტად ემთხვევა თავიანთი პატრონების პოზიციებს. მათი ამოცნობა ადვილია.



„ქვეყნისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება სასიცოცხლოა“

# გორში ირაკლი ოქრუაშვილს ესროლეს

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნებამდე 6 დღით ადრე ქვეყანაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. გუშინ, 2 ოქტომბერს, გორში ირაკლი ოქრუაშვილს ესროლეს. თავდაცვის ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ მოწყობილი თავდასხმის უკან კახა კალაძის ცოლისძმა დგას.

ინციდენტი, რომლის დროსაც 2 ადამიანი დაიჭრა, გუშინ საღამოს გორში, რკინიგზის დასახლებაში მოხდა. იქ ირაკლი ოქრუაშვილი თავის ხალხთან ერთად ამომრჩეველს ხვდებოდა.

შეხვედრის დაწყებიდან ცოტა ხანში იქ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები მივიდნენ. ოქრუაშვილის ხალხსა და მეოცნებეებს შორის ჯერ სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, შემდეგ კი ალექსანდრე ინდუაშვილმა, მეტსახელად ხამსამ, ოქრუაშვილის მისამართით რამდენჯერმე გაისროლა.

დეპუტატობის კანდიდატს დაცვის წევრი გადაეფარა. ოქრუაშვილი უვნებლად გადარჩა, მისი დაცვის წევრი კობა კოშაძე კი დაიჭრა. დაჭრილია თავდაცვის ყოფილი მინისტრის საარჩევნო შტაბის წევრი ბიძინა თომაშვილიც. ორივე მათგანი გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ექიმების განმარტებით, მათ ხელისა და ფეხის არეში აღენიშნებათ ძვლების მრავლობითი ნამსხვრევი მოტეხილობები. ორივე მათგანს ოპერაცია ჩაუტარდა.



„ამის თავიდათავი კალაძის ცოლისძმაა“

თავდასხმიდან ერთ საათში საგანგებო განცხადება გააკეთა ტყვიას გადარჩენილმა ოქრუაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნულ პროცესს ორგანიზებას კალაძის ცოლისძმა უკეთებდა. ოქრუაშვილის თქმით, დამნაშავე ცხინვალის ტერიტორიაზე აპირებდა მიმალვას.

– ძველი ბიჭები გააქტიურდნენ საარჩევნო პროცესში. ამის თავიდათავი გახლავთ კახა კალაძის ცოლისძმა. ის უკეთებდა ორგანიზებას კრიმინალურ ავტორიტეტებს, რომლებიც ჩართული იყვნენ საარჩევნო პროცესებში. არ ვაპირებ, რომ დაველოდო პოლიციის რეაგირებას, მე მაქვს ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი აპირებს ცხინვალის ტერიტორიაზე გადასვლას. მოვუწოდებ პოლიციას, კალაძის ქმედება არის გამომწვევი მიზეზი დაუსჯელობის სინდრომის, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

მისივე განმარტებით, მას მთელი დღის განმავლობაში დაჰყვებოდა „ქართული ოცნების“ კოორდინატორი ედუარდ ნუცუბიძე.

– სადგურის დასახლებაში მოვიდნენ და მოიყვანეს ეს ინდუაშვილი, რომელიც არაერთხელ არის ნასამართლევი. მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ჩვენს აქტივისტებს და დაიწყო ჩხუბი. ინდუაშვილმა ამოიღო იარაღი და ისროლა მიზანმიმართულად როგორც ჩემი, ასევე ჩემი დაცვის წევრების მისამართით, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

შს სამინისტროში განმარტავენ, რომ თავდამსხმელი იდენტიფიცირებულია და მას უკვე ეძებს პოლიცია. უწყების ცნობით, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 2 მუხლით. ერთი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას ითვალისწინებს, მეორე კი – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას.

ოქრუაშვილის ბრალდებას გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე.

– ოქრუაშვილი აპირებს, მომხდარს პოლიტიკური სარჩული დაუდოს, თითქოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა, – განაცხადა კობახიძემ.

მან ინციდენტში „ქართული ოცნების“ ლიდერებისა და აქტივისტების მონაწილეობა კატეგორიულად გამორიცხა.

– გორში მოხდა სამწუხარო ინციდენტი, რომელიც დაიწყო შელაპარაკების ნიადაგზე. ეს შელაპარაკება დაიწყო ირაკლი ოქრუაშვილს, მის მხარდამჭერებსა და ადგილობრივ მოსახლეებს შორის და სამწუხაროა, რომ ამ ყველაფერს მოჰყვა მძიმე ინციდენტი, რაც გამოიხატებოდა ადამიანების დაჭრაში.

ჩვენთვის, ბუნებრივია, ეს ყველაფერი დასაგმობია, რაც იქ მოხდა, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით გავიმეორებთ, რომ ამას არ ჰქონდა პოლიტიკური სარჩული, ქმედების მოტივი იყო არა პოლიტიკური, არამედ ეს ყველაფერი დაიწყო ჩვეულებრივი შელაპარაკების საფუძველზე ირაკლი ოქრუაშვილს, მის მხარდამჭერებსა და კონკრეტულ გორის მოსახლეებს შორის, – განაცხადა კობახიძემ.

◆ ◆ ◆

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ოქრუაშვილი კალაძეს უპირისპირდება.

რამდენიმე კვირის წინ ოქრუაშვილმა რუსთავი 2-თან დაკავშირებით სკანდალური დოკუმენტი გამოაქვეყნა, მოგვიანებით კი განმარტა, რომ ამის გაკეთებისკენ მას კალაძემ უბიძგა. ისიც დაამატა, რომ პოლიტიკაშიც მილანის ყოფილი მცველის გამო დაბრუნდა.

– 2013 წელს საერთოდ არ ვაპირებდი პოლიტიკაში დაბრუნებას, მინდოდა ბიზნესში, ენერგეტიკაში რაღაც პროექტის დაწყება, გორში ქარის წისქვილების დამონტაჟება. შესაბამისი წინადადებით მივმართე კალაძეს და მისგან სრული იგნორირება მივიღე. ის ხელმძღვანელობდა უშუალოდ ჩემი საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების პროცესს 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე. ის ხელმძღვანელობდა ამას როგორც ცესკოში, ასევე სასამართლოებში. ის ხელმძღვანელობდა არჩევნებს მთლიანად გორში, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებას მივაღწიე, ის მომპარეს და წამაგებინეს, – აღნიშნა ოქრუაშვილმა.

◆ ◆ ◆

ირაკლი ოქრუაშვილზე თავდასხმის ფაქტს გამოეხმაურა თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია, რომელიც ასევე გორში იყრის კენჭს.

როგორც ირაკლი ალასანიამ გორში ჟურნალისტებთან ფაქტის კომენტირებისას განაცხადა, წინასაარჩევნო პერიოდში არსებული გარემო დასარეგულირებელია.

ალასანიამ სამართალდამცავებს მოუწოდა, მოახდინონ ეფექტური რეაგირება და სწრაფად გამოიძიონ მომხდარი ფაქტი.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რომან გოცირიძე: „ოცნების“ მთავრობა „ოცნების“ საარჩევნო პროგრამის წინააღმდეგ“

ნაციონალური მოძრაობის წევრ რომან გოცირიძის განცხადებით, მთავრობა არ აპირებს მასწავლებლების ხელფასებისა და პენსიების ზრდას, ჯანდაცვის პაკეტში მედიკამენტების გათვალისწინებასა და გადასახადების შემცირებას.

– მთავრობა ეწინააღმდეგება „ოცნების“ პროგრამას. ამ ბიუჯეტს შეიძლება ვუწოდოთ „ოცნების“ მთავრობა „ოცნების“ საარჩევნო პროგრამის წინააღმდეგ. არის დოკუმენტი ბიუჯეტის სახით, რომელშიც მოცემულია მომავალი 4 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური განვითარების ძირითადი ინდიკატორები, რომელთაც ხელს აწერს პრემიერ კვირიკაშვილი და არის „ოცნების“ საარჩევნო პროგრამა, რომელშიც ასევე მოცემულია 4 წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ დაპირებები და რომელსაც ხელს აწერს ასევე პრემიერ-მინისტრი და ამავდროულად პარტიის თავმჯდომარე კვირიკაშვილი, – განაცხადა გოცირიძემ.

მისი თქმით, ამ ორი დოკუმენტის შედარებისას ნათლად ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა არარეალისტური დოკუმენტია.

– ამ ორი დოკუმენტის ურთიერთშედარებისას ნათლად ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა ფარატინა ქაღალდია. იგი არის არარეალისტური დოკუმენტი, ტრადიციულად გაჯერებული ცრუ დაპირებებით. პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების უდიდესი ნაწილის შესრულება ნავარაუდევია ქვეყნის ბიუჯეტიდან, თუმცა მთავრობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ამ დაპირებების უდიდესი ნაწილი არ არის გათვალისწინებული. – აღნიშნა გოცირიძემ.

მედიანიუსი

# საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები

## კენჭისყრა იმართება
08:00 საათიდან 20:00 საათამდე



## ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა.



### თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ***გაიკეთეთ მარკირება***



### მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა;
მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები;
კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი;
თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.



### თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს,გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში;
სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

## კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკოს სატელეფონო/
საინფორმაციო ცენტრი – 2510051

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

**დემოკრატიის სერვისი!**

# ლევან ალაფიშვილი: „ევროპის სასამართლოში ევროპამ ორიანი დაგვიწერა“

ნათია ხურცილავა





იურისტი, კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განმარტავს, თუ რა შეიძლება გამხდარიყო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან წარდგენილი კანდიდატების კენჭისყრის გადადების მიზეზი.

***— ბატონო ლევან, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოდან წარდგენილ მოსამართლეებთან დაკავშირებით უნდა მიღებულიყო, ოთხი თვით გადაიდო. რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება ევროპის სასამართლომ? მათ შეიძლება კითხვის ნიშნები ჰქონდეთ იმ პროცედურასთან დაკავშირებით, რომლითაც იქნა არჩეული კანდიდატები?***

— უმთავრესი, რაც უნდა აღვნიშნოთ, არის ის, თუ რა პროცესებს ჰქონდა ადგილი კანდიდატების შერჩევის დროს. რადგან ეს გახლავთ თუნდაც არა საქართველოს მოსამართლის შერჩევა, არამედ ევროპის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის, არა ერთი რომელიმე სახელმწიფოს, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოს უმაღლეს სასამართლოში მოსამართლის გამწესებაზეა საუბარი. რასაკვირველია, აქ ძალიან მაღალია სტანდარტი როგორც პროფესიონალიზმის, ისე პროცედურების მიმართ, როგორც გამჭვირვალობის კუთხით, ისე მორალური თვალსაზრისით. უნდა იქნეს შერჩეული კანდიდატი, რომელიც არათუ თვითონ იწვევს რამე სახის კითხვას, არამედ თავად პროცედურებიც უნდა იყოს ზედმიწევნით უნაკლო.

***— კანდიდატების შერჩევის პროცედურა არ იყო სათანადოდ გამჭვირვალე და დაცული?***

— რა თქმა უნდა, არ იყო. არსებობს კითხვები და ამ კითხვებს ვერ გავექცევით.

***— კონკრეტულად?***

— მაგალითად, ევა გოცირიძის კანდიდატურის მიმართ არსებობს კითხვები, რომელსაც უფრო ნაკლები შეფასება ჰქონდა, ვიდრე ანა დოლიძეს. რა ნიშნით არის უკეთესი ევა გოცირიძე ანა დოლიძეზე?!

***— მახსოვს კომისიის არგუმენტი, რომ თითქოს სამოსამართლეო პრაქტიკაზე გაკეთდა მეტი აქცენტი.***

— ვის აქვს მოსამართლის პრაქტიკა, ევა გოცირიძეს?! მგონი, ამას თვითონაც არ იბრალებს, თანაც ეს არ არის იქ მთავარი მოთხოვნა. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პროცესში იყო პოლიტიკოსი ჩართული თეა წულუკიანის სახით, რომელმაც გვითხრა მთელ საზოგადოებას, გიორგი პაპუაშვილს როგორ დაუწერა ორიანი. საბოლოო ჯამში, ევროპამ ორიანი ჩვენ დაგვიწერა. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ეს რეალობაა.

***— თუმცა პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ევროპამ კიდევ ერთი შანსი მოგვცა და პროცესი იანვრამდე გადაიდო. ყველაფერი ჯერ არ არის დასრულებული.***

— დიახ, ასეა. რეალურად ეს არის გადადება იანვრამდე, მაგრამ ეს არის არა გადადება, არამედ შემოლაწუნება. ევროპამ ძალიან ნათლად იცის, რომ 8 ოქტომბერს საქართველოში არჩევნებია. იქნებ ახალმა მთავრობამ, პარლამენტმა გონებას მოუხმოს და წარადგინოს ღირსეულად შერჩეული კანდიდატები.

***— როგორი პროცედურებით?***

— ნეიტრალიტეტის სრული დაცვითა და გამჭვირვალე პროცედურებით უნდა იყოს შერჩეული კანდიდატები. თავად ის გარემოება, რომ შემრჩევი კომისია იუსტიციის სამინისტროში რომ იყო და მინისტრი რომ იყო პროცესის წარმმართველი, ეს უკვე იყო პროცესის პოლიტიზება. ეს უკვე იყო ევროპულ სტანდარტთან შეუსაბამო. აქ ეს არის უმთავრესი. ჩვენმა მთავრობამ დაუშვა შეცდომა, როდესაც პოლიტიკური სიმპათიებითა და ერთგულების ნიშნით დაიწყო კანდიდატების შერჩევა. არადა, საუბარია ევროპის ქვეყნების სასამართლოს სადარაჯოზე მყოფ მოსამართლეზე. სამწუხაროდ, ეს მეათეხარისხოვანი აღმოჩნდა ჩვენი ხელისუფლებისთვის, რაც მათ ნაკლებ ევროპულობასა და ინტელექტზე მიანიშნებს.

***— ბატონო ლევან, ხელისუფლების წარმომადგენლები შეგეკამათებიან და გეტყვიან, რომ მაღალი კვალიფიკაციის იურისტები წარგზავნეს, როგორც კანდიდატები.***

— პროცედურები იყო პოლიტიზებული და ევროპის სასამართლო შინაარსში აღარც კი შესულა. 21-ე საუკუნეა და ვერ მოვატყუებთ არათუ ევროპას, ვერავის. საუბარია იმ პროცედურებზე, რომლებითაც შეირჩნენ ეს კანდიდატები.

***— აღნიშნულ საკითხზე იუსტიციის მინისტრის განმარტება მოვისმინე. ის ამბობს, რომ პროცესი გადაიდო და არსად გვეჩქარება. არ ეთანხმებით?***

— დიახ ასე თქვა, მაგრამ მე ვიტყვი, რომ ევროპამ სწორედ იმ მიზეზით გადადო, რომ არჩევნების შემდეგ წულუკიანი არ იქნება ახალი კომისიის წარმომადგენელი. თუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო დღესვე მიიღებდა გადაწყვეტილებას, საკითხს კენჭისყრაზე გაიტანდა და კანდიდატურას ჩააგდებდა. ზუსტად იმ იმედით გადადო ევროპამ, რომ ცივი გონებით მივიღოთ გადაწყვეტილება და კიდევ ერთხელ არ შევრცხვეთ ამ დონეზე.

***— ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოსამართლეთა დამტკიცების პროცედურები როგორია?***

— ქვეყანა წარადგენს სამ კანდიდატურას და იქიდან მხოლოდ ერთს კენჭისყრით ამტკიცებს მოსამართლის პოსტზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს კომიტეტი.

***— სტრასბურის სასამართლოს შეეძლო, ჩაეგდო ჩვენი კანდიდატი და შანსიც აღარ გვქონოდა?***

— რა თქმა უნდა, მაგრამ ევროპამ როგორც საქართველოსთვის, მისი იმიჯისთვის ძალიან მნიშვნელოვანი, ეს არ გააკეთა და მოგვცა კიდევ ერთი შანსი და გაგვაფრთხილა. თუ კანდიდატს ჩაგვიგდებდნენ, მერე გენახათ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ჩვენი სახელმწიფო. ეს იქნებოდა ძალიან ცუდი ჩვენი ქვეყნის პრესტიჟისთვის, ჩვენი სახელმწიფოს მომავლისთვის.

***— თქვენ ამბობთ, რომ ამისთვის არ გაგვიმეტა ევროპამ?***

— დიახ, ასეა.

***— ახალი პროცედურები რას ითვალისწინებს?***

— მთავრობას შეუძლია, იგივე კანდიდატები დატოვოს ან ახალი კანდიდატები წარადგინოს, ღია, გამჭვირვალე პროცედურებით შერჩეული. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნიდან ღირსეული კანდიდატები იქნებიან წარდგენილები და მართლაც ღირსეული ღირსეულთა შორის გახდება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლე. ეს ძალიან საპატიო და, ამავდროულად, ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაა.

# გიორგი სეთურიძე: „თუშეთში ავტომობილით ასვლა ზამთარშიც გახდება შესაძლებელი“

**მთავრობა სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ფშაველის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის პროექტს ახალ, 15-კილომეტრიან მონაკვეთს ამატებს, რომელიც ხადორის უღელტეხილზე გზის გაჭრასა და პანკისიდან თუშეთამდე გზის მშენებლობას ითვალისწინებს.**

**ამ ინფორმაციას პანკისის სათემო რადიო საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელ გიორგი სეთურიძეზე დაყრდნობით ავრცელებს.**




**პანკისის ხეობის გავლით თუშეთში ავტომობილით ასვლა ზამთარშიც გახდება შესაძლებელი**

— აბანოს უღელტეხილთან შედარებით, ხადორის უღელტეხილი უფრო დაბალია და შესაძლებელია მისი მოვლა ზამთარშიც. ეს საშუალებას მოგვცემს, თუშეთთან დამაკავშირებელი გზა ზამთარშიც ღია იყოს.

ეს გზა დიდი ხნის წინ არის დამუშავებული. ამაზე ფიქრი განვაახლეთ და დავამატეთ ტექნიკურ დავალებას. დაახლოებით 15 კილომეტრი, ან შეიძლება ცოტა მეტი იყოს ახალი მონაკვეთი, — ციტირებს პანკისის სათემო რადიო გიორგი სეთურიძის კომენტარს.

მისივე თქმით, ახალი გზა, რომელიც პანკისიდან დაიწყება და ხადორის უღელტეხილზე გაივლის, ხევსურეთიდან თუშეთისკენ მომავალ გზას შეუერთდება.

ამჟამად თუშეთს დანარჩენ საქართველოსთან ერთადერთი საავტომობილო გზა აკავშირებს, რომელიც თელავის რაიონის სოფელ ფშაველიდან იწყება.

თუშეთის ადმინისტრაციულ ცენტრამდე, სოფელ ომალომდე 72 კილომეტრია. ფშაველიდან მდინარე სტორის ხეობამდე გზა მოასფალტებულია. სტორის ხეობიდან აბანოს უღელტეხილამდე საავტომობილო გზის დიდი ნაწილი კლდეებსა და მთებზეა გაჭრილი. სახიფათო პირობების გამო ბევრი ადამიანია გარდაცვლილი.

თუშეთის გზა ღია მაისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის ბოლომდეა. უღელტეხილზე დიდთოვლობის გამო გზა 6 თვის განმავლობაში იკეტება ხოლმე და თუშეთში მოხვედრა მხოლოდ ვერტმფრენით არის შესაძლებელი.

ომალო-ალვანის საავტომობილო გზა ერთ-ერთი ყველაზე რთული სატრანსპორტო მონაკვეთია საქართველოში. ბიბისიმ 2013 წელს ეს გზა ევროპის ყველაზე ექსტრემალური გზების ჩამონათვალში შეიყვანა.

თუშეთის გზა, თავისი ექსტრემალური პირობების გამო, რეგიონში ტურისტების მიზიდვის ერთ-ერთ ძირითადად საშუალებადაც ითვლება, თუმცა, ამავე დროს, ტურისტებს აფრთხობს. გზის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე წელს თუშეთი ტურისტული სეზონის ჩავარდნის საფრთხის წინაშეც კი დადგა.

გიორგი სეთურიძის განმარტებით, ახალი, 15-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც ხადორის უღელტეხილზე გაივლის, ზღვის დონიდან მაქსიმუმ 2.600 მეტრზე იქნება, მაშინ როცა აბანოს უღელტეხილი ზღვის დონიდან 2.950 მეტრზეა.

სეთურიძის ინფორმაციით, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ფშაველის გზის საპროექტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობით ბევრი უცხოური კომპანიაა დაინტერესებული.

— ძალიან ბევრს მუშაობენ, ექსპედიციები წინასწარ გაგზავნილია ამ მიმართულებებზე, რომ თავიანთი წინადადებები რაც შეიძლება ზუსტად ჩამოაყალიბონ, — განაცხადა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

◆ ◆ ◆

საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და საკონკურსო კომისიის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით, შეწყდა ელექტრონული კონკურსი, რომელიც ყაზბეგი-თუშეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით იყო გამოცხადებული.

— საკონკურსო კომისიაზე წარმოდგენილ იქნა დეპარტამენტის ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ საპროექტო მონაკვეთზე ტრასის ტექნიკური მახასიათებლების შესაძლო გაუმჯობესების მიზნით, დამატებით მიმდინარეობს ალტერნატიული მიმართულებების იდენტიფიცირება, რაც შესაბამისად, გამოიწვევს არსებული საპროექტო დავალების ცვლილებას.

ამიტომ მიზანშეწონილია ალტერნატიული ვარიანტების დამატებით დაზუსტებამდე შეწყდეს დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული №160000119 კონკურსი, — ნათქვამია სატენდერო და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.

ყაზბეგი-თუშეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა პრემიერმა კვირიკაშვილმა 11 აგვისტოს, თუშეთში ყოფნისას დააანონსა.



— ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ და მივაქცევთ თუშეთის განვითარებას. თუშეთს გააჩნია უდიდესი პოტენციალი ტურიზმის თვალსაზრისით. ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს ტენდერი გზის პროექტირებაზე, რომელიც აუცილებლად აშენდება და იქნება საქართველოს დედაქალაქიდან თუშეთამდე მიმავალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების გზა იმისთვის, რომ ყველა ტურისტმა უსაფრთხოდ და რაც შეიძლება მოკლე დროში მოახერხოს თუშეთში ამოსვლა, — განაცხადა პრემიერმა.

◆ ◆ ◆

სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ფშაველის გზის პროექტირებაზე კონკურსი პრემიერის თუშეთში ვიზიტამდე ორი დღით ადრე, 9 აგვისტოს გამოცხადდა და წინადადებების წარდგენის ვადად 21-26 აგვისტო განისაზღვრა, თუმცა ამის შემდეგ კონკურსის ვადა ორჯერ შეიცვალა — ჯერ 16 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით, შემდეგ კი — 28 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით.

გიორგი სეთურიძის განმარტებით, ახალი მონაკვეთის დამატების თაობაზე დოკუმენტაციაში ტექნიკური ცვლილება რამდენიმე დღეში შევა და კონკურსი განახლდება.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# დავით ლორთქიფანიძე: „ის ტექსტი, რომლითაც ნაცები ჩანაწერებში საუბრობენ, 9 წლის განმავლობაში გვესმოდა“

გულიკო ბალაძე

**ინტერვიუ დეპუტატ დავით ლორთქიფანიძესთან**

***– ბატონო დავით, ნაცმოძრაობის რევოლუციური გეგმები რეალისტური შეიძლება იყოს?***

– ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა ფანტაზიას საზღვრები არ აქვს. ნაცების რევოლუციური აღტკინება მხოლოდ მათი ილუზორული ხედვაა და ემყარება მათ სურვილებს. ამას არც თვითონ მალავენ. უნდათ, მოვლენები რევოლუციურად განავითარონ, მაგრამ, პირველ რიგში, ქართველი ხალხი თავისი არჩევანით ამის საშუალებას არ მისცემს.

***– ბოლო დროს ნაცები აცხადებენ, რომ არჩევნებში ისინი იმარჯვებენ, „ოცნება“ მარცხდება, ხოლო ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან გარბის. ეს მხოლოდ ნაცების ოცნებებია თუ...***

– ეს არ არის მათი ოცნებები, სიზმრებია. სიზმარში ესიზმრებათ, გაეღვიძებათ და ცივი ოფლი დაასხამთ. რასაც ისინი ამბობენ, სრული ბოდვაა.

***– რატომ?***

– საფუძველი არ აქვს. უბრალოდ, 2003 წლის რევოლუციის ტყვეობაში არიან. 2003 წელს ნაცმოძრაობამ აიღო 20%, მოქკავშირს ჰქონდა მასზე მეტი. ნაცმოძრაობა უპრობლემოდ შედიოდა პარლამენტში, მაგრამ სააკაშვილმა აიხირა, რომ გაუყალბეს. უნდოდათ, რევოლუცია მოეწყოთ და მოაწყვეს კიდეც. თუმცა მაშინ საზოგადოების განწყობა დღევანდელისაგან განსხვავდებოდა. იმ პერიოდში არსებული ხელისუფლების მიმართ ძალიან ნეგატიური მუხტი იყო და თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. დღეს რევოლუციის მოწყობის წინაპირობა არ არსებობს. მოსახლეობაში რევოლუციური განწყობა არ არის და ვერც იქნება.

***– ნაციონალები აცხადებენ, რომ მათ ბევრი მხარდამჭერი ჰყავთ.***

– ნაცმოძრაობას ჰყავს თავისი მხარდამჭერები და მომავალშიც ეყოლებათ, მაგრამ, არა იმდენი, რომ ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლა მოახერხონ. ხელისუფლება ამას არ დაუშვებს.

***– არჩევნებით?***

– არჩევნებში მიიღებენ იმ შედეგს, რომლის გამოცხადების შემდეგაც მათი მხარდამჭერები რევოლუციის იდეას არ გაიზიარებენ და არ გაჰყვებიან.

***– ალბათ, მოისმინეთ ჩანაწერები, რომლებიც ქვეყნდება. ადრე გამოქვეყნებულ ჩანაწერებზე თქვეს, ჩვენი საუბრის ჩანაწერიაო, მაგრამ ახლა ამბობენ, უხეში მონტაჟიაო. ჩანაწერების ექსპერტიზა არ არის აუცილებელი?***

– რა თქმა უნდა, ჩანაწერების ავთენტურობა უნდა დადგინდეს. ჩანაწერი აიტვირთა სოციალურ ქსელებში. ჯერ ჩანაწერის ავთენტურობაზე დასკვნა არ არის.

***– რას გეუბნებათ ის ტექსტები, რომლებიც ჩანაწერშია?***

– ის ტექსტები, რომლითაც ნაცები საუბრობენ, 9 წლის განმავლობაში გვესმოდა. რამე ახალი თქვეს? ხელკეტები, ჯოხები და ა.შ. რასაც ახსენებენ, საზოგადოებისთვის უცხო არ არის. რამდენიც უნდა იძახონ, არ გვითქვამსო, არ არის დასაჯერებელი. თუმცა უდანაშაულობის პრეზუმფციასაც არ დავარღვევთ. ჩანაწერის ავთენტურობაც უნდა დადგინდეს და სათანადო გამოძიებაც ჩატარდეს, მაგრამ ის ტექსტები, რომლებიც ჩანაწერში ისმის, მათ მიერ 9 წლის განმავლობაში რეალურად განხორციელდა.



**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იმისთვის არსებობს, რომ ქვეყანაში სიტუაციას ფლობდეს, მაგრამ მოსმენები უნდა ხორციელდებოდეს სამართლებრივი ნორმების დაცვით**

***– მოსახლეობა როგორ მიიღებს მათი საუბრების შინაარსს?***

– მოსახლეობას არ დავიწყებია, რასაც ისინი უკეთებდნენ თავიანთ თანამოქალაქეებს 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში ყოფნის დროს. საერთოდ, პოლიტიკოსებს მეტი სიფრთხილე მართებთ საზოგადოებასთან. ახლა ნაცმოძრაობის ლიდერები ცდილობენ, გაანეიტრალონ მაშინდელი ნამოქმედარი, შეარბილონ მათ მიმართ არსებული ნეგატიური განწყობა.

***– რას გულისხმობთ?***

– ბაქრაძემაც კი აღიარა, ვწუხვარ, რაც იყოო, მაგრამ ეს რა შეღავათია მოსახლეობისთვის? მათი ახლანდელი განცხადებები შეღავათი არ არის. ეს მათ შეეძლოთ ეღიარებინათ, როცა ამომრჩეველმა ხელისუფლებიდან ისტორიის სანაგვეზე გაისტუმრა. 2016 წლის სექტემბერში მათი წუხილი და ვიშვიში არავის აინტერესებს. გიორგი ბარამიძემ თქვა, იმის გამო, რაც 26 მაისს მოხდა, საზოგადოების წინაშე ბოდიში გვაქვს მოსახდელიო. მაპატიეთ, მაგრამ სულიკო ასათიანსა და ნიკა კვინტრაძეს, რომლებსაც ოჯახის წევრები გაუნადგურეს, მათი ბოდიში რას უზამთ? სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში რეალობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. არა მგონია, მათი მობოდიშება საზოგადოებისთვის საკმარისი იყოს.

***– საქართველოში სააკაშვილი ბრალდებულია. მისი საქმეები განიხილება სასამართლოში. გამორიცხულია, მას ჩვენი უშიშროების სამსახური უსმენდეს, გამორიცხავთ, მსგავსი ჩანაწერები უშიშროებას რეალურად ჰქონდეს მოპოვებული?***

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იმისთვის არსებობს, რომ ქვეყანაში სიტუაციას ფლობდეს, მაგრამ მოსმენები უნდა ხორციელდებოდეს სამართლებრივი ნორმების დაცვით ანუ მოსმენაზე შესაბამისი სანქცია უნდა იყოს გაცემული.

***– სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. ლოგიკურად, მოსმენის სანქცია ხომ უნდა იყოს გაცემული?***

– არ არის აუცილებელი, ადამიანი დამნაშავედ ცნობილი იყოს და მხოლოდ მას უსმენდნენ. შეიძლება უსმენდნენ სხვა პირსაც. მთავარია, მისი მოსმენა კანონის ფარგლებში იყოს მოქცეული ანუ სასამართლო გადაწყვეტილება არსებობდეს. ამიტომ საჭიროა, გამოძიება ჩატარდეს და ყველაფერი დადგინდეს, მოსმენა ხდებოდა თუ რეალურად როგორ იყო. საკითხების მთელი კომპლექსია განსახილველი. მოსმენა გამორიცხული არ არის, მაგრამ კანონის ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

***– გამორიცხავთ, უშიშროების სამსახური სააკაშვილს კანონიერად უსმენდეს?***

– არ გამოვრიცხავ, სახელმწიფოს უშიშროების სამსახურები კანონიერად სააკაშვილს კი არა, ნებისმიერ ადამიანს უსმენდნენ, თუკი დანაშაულში იქნებიან შემჩნეულნი. დანაშაულის პრევენციისთვისაც შეიძლება ისმენდნენ. აქედან გამომდინარე, ვერ გამოვრიცხავ, ასე ხდებოდეს.

***– ჩანაწერი აიტვირთა სოციალურ ქსელებში, შემდეგ დაიწყო გამოძიება. ჩვენ არ ვიცით, მანამდე გამოძიება მიმდინარეობდა თუ არა. როგორ ფიქრობთ, უნდა დააპატიმრონ ის პირები, რომლებიც შეიძლება განუხორციელებელი რევოლუციისა თუ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში აღმოჩნდნენ ბრალდებულები?***

– თუ დადგინდება, რომ იმ მუხლით, რა მუხლითაც არის აღძრული საქმე – სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობის მუხლით დანაშაული თუ გამოიკვეთება და თუ იქნება დაკანონებული, რა თქმა უნდა, კანონს ყველა უნდა დაემორჩილოს. მთავარია, არ იყოს ფალსიფიცირება, მით უმეტეს, პოლიტიკური ოპონენტების დევნა სამართლებრივ ჩარჩოში უნდა იყოს მოქცეული, თორემ არავის აქვს იმის იმუნიტეტი, თუ დანაშაულს ჩადის ან დანაშაულს ამზადებს, ან კიდევ დანაშაულის დაგეგმვაში მონაწილეობს, სახელმწიფომ პრევენციული ზომები გაატაროს.

არჩევნებამდე მოკლე დროა. ალბათ, მანამდე გამოძიების დასრულება გართულდება, მაგრამ ჩვენს ამომრჩევლებს ხელთ აქვთ გამოძიების დასრულების შესაძლებლობა. ამომრჩევლებს ვთხოვთ, სახლში არავინ დარჩეს, ყველა მივიდეს არჩევნებზე და შემოხაზოს ის პოლიტიკური ძალა და მაჟორიტარობის ის კანდიდატი, რომელიც მათ სურთ.


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2016 წლის 21 ნოემბერს, 12 საათზე, ქ.ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში მდებარე შპს „ელისი 2015“-ის კუთვნილი ასფალტის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ასფალტის ქარხნის ექსპლუატაციის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქ.ხაშური, სოფელი ოსიაური,
შპს „ელისი 2015“-ის კომპანიის ოფისი.
ტელეფონი: 558-10-22-50;
ქ.გორი, გორკის ქუჩა №159
შპს „BS Group“-ის ოფისი.
ტელეფონი: 599-70-80-55.

საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი დავით მაყაშვილი
ტელეფონი: 599-70-80-55.

*ადმინისტრაცია*


# ირმა ინაშვილი: „სააკაშვილს ყურებით ჩამოვათრევთ“



## პატრიოტთა ალიანსმა ბათუმში ხალხმრავალი აქცია გამართა

პატრიოტთა ალიანსმა ბათუმში, ერას მოედანზე, წინასაარჩევნო შემაჯამებელი ხალხმრავალი აქცია გამართა.

მხარდამჭერებს პარტიის ხელმძღვანელებმა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა მიმართეს.

– პირველ რიგში, მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, რომ დღეს არის 1 ოქტომბერი. 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩვენ დავამარცხეთ სააკაშვილის რეჟიმი, მაგრამ, სამწუხაროდ, 2012 წლის 1 ოქტომბრის მონაპოვარი „ქართულმა ოცნებამ“ წყალში გადაყარა, ისევ გადაარჩინა ეს ნაცები, გააცოცხლა და დღესაც იმავეს აკეთებს – შეირწყა და რაღაცა ახალი ჯიშის პოლიტიკური ცხოველი შეიქმნა. ხალხს კი არ ეშინია, ხალხი აკვირდება ამას, ამ განურჩევლობას, რაც ხდება; ის ხალხი, ვინც ადამიანებს აწამებდა, აშინებდა სოფლებში, ახლა ყველა „ქართულ ოცნებაშია“. ეს განუკითხაობა უნდა დამთავრდეს. ამ ქვეყანაში წესიერებამ უნდა გაიმარჯვოს! – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პირველი, რაც მოხდება, იქნება მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანა.

– იმ კურდღელს, იმ ბაჭიას, სააკაშვილს ჩამოვიყვანთ აქ ყურებით, ვატყობ, რომ ჩვენი ჩამოსათრევია იგი აქ და გასასამართლებელი. „ქართული ოცნება“ მაგის აქ ჩამომყვანი არ არის, – აღნიშნა ინაშვილმა.

მედიანიუსი


**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## აშშ ყირიმელ თათართა მილი-მეჯლისის აკრძალვას უკანონოდ მიიჩნევს

რუსეთის უმაღლესმა სასამართლომ ყირიმელ თათართა მილი-მეჯლისის აკრძალვა კანონიერად ცნო. დადგენილებაში ნათქვამია, რომ მეჯლისი ექსტრემისტულ ორგანიზაციას წარმოადგენს და რუსეთის ტერიტორიაზე ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა.



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მომხდართან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. ამერიკელები მილი-მეჯლისის აკრძალვას უკანონოდ მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ყირიმის ძირძველი მოსახლეობის შევიწროება.

## ერდოღანს ახალი კონსტიტუციის შემუშავება სურს

თურქეთის პარლამენტი საზაფხულო არდადეგების შემდეგ მუშაობას შეუდგა. პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ აუცილებელია ქვეყნისთვის ახალი კონსტიტუციის შემუშავება.



– იმედი მაქვს, ეს ძალზე სწრაფად მოხდება. დრო არ ითმენს, – თქვა ერდოღანმა.

## ოლგა გოლოდეცი: „რუსეთში სიღატაკე იზრდება"

რუსეთის ვიცეპრემიერმა ოლგა გოლოდეცმა განაცხადა, რომ მის ქვეყანაში სიღატაკე იზრდება. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სიღარიბე არა მხოლოდ უმუშევრებს, არამედ დასაქმებულებსაც შეეხო.



– სასწრაფო ზომები უნდა მივიღოთ, რომ ამ პრობლემას მოვუაროთ, – აცხადებს გოლოდეცი.

## მოსკოვი: თავდასხმა სინაგოგაზე

მოსკოვში მამაკაცმა, რომელსაც ხელში ბენზინის კანისტრა ეჭირა, ცადა, სინაგოგისთვის ცეცხლი წაეკიდა. ის დაცვამ შეაჩერა. მაშინ თავდამსხმელმა პისტოლეტი იძრო და სროლა დაიწყო.



მან ერთ-ერთი მცველი დაჭრა. სხვებმა მისი დაკავება მოახერხეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## პრინცმა ჯორჯმა კანადის პრემიერს ხელი არ ჩამოართვა

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის კანადაში ვიზიტის დროს სამი წლის პრინცმა ჯორჯმა უარი თქვა, ხელი ჩამოერთმია ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრიუდოსთვის. მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



პრინცი უილიამი და მისი მეუღლე კეტრინი თავიანთ შვილებთან პრინც ჯორჯთან და ერთი წლის პრინცესა შარლოტასთან ერთად კანადაში ჩავიდნენ. ქალაქ ვიქტორიას აეროპორტში მას შემდეგ, რაც ტრიუდოს პატარა პრინცმა ხელი არ გაუწოდა ჩამოსართმევად, მან ისევ გაუწოდა ხელი ჯორჯს, მაგრამ კვლავ უარი მიიღო.

სამეფო ოჯახის ვიზიტი კანადაში 25 სექტემბერს დაიწყო და ერთ კვირას გაგრძელდება.

## ანჯელინა ჯოლის ბრედ პიტთან უთანხმოების მიზეზი მისი პოლიტიკური ამბიციები გახდა

ჰოლივუდის მსახიობების ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის უთანხმოების და მათი განქორწინების უმთავრესი მიზეზი ჯოლის პოლიტიკური ამბიციები გახდა. ეს ინფორმაცია წყვილთან დაახლოებულ პირზე დაყრდნობით ერთ-ერთმა გამოცემამ გაავრცელა.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თითქოსდა ჰოლივუდის ვარსკვლავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობა იზიდავს და ამის მისაღწევად მან ორი პოლიტიკური მრჩეველიც კი დაიქირავა. თავის მხრივ, პიტი არასოდეს ეწინააღმდეგებოდა მეუღლის საქველმოქმედო საქმიანობას, რომელიც გაეროს კეთილის ნების ელჩია ლტოლვილთა საკითხებში. თუმცა მათ შორის უთანხმოება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ჯოლის კონფლიქტების ზონებში მოგზაურობის დროს ბავშვებიც თან მიჰყავდა. მეუღლეებს შორის უთანხმოების გაღვივების ბოლო წვეთად იქცა ანჯელინას სურვილი, ბავშვებთან ერთად გამგზავრებულიყო სირიაში.

## ავსტრალიელი პატარა კენგურუს დაუმეგობრდა



იუთუბი ბლოგერი, ავსტრალიელი ჯექსონ ო,დოერთი თავის შინაურ პატარა კენგურუს დაუმეგობრდა. მან საკუთარ არხზე გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ატარებს ის დროს ცხოველთან ერთად.

ვიდეოჩანაწერში ასახულია, თუ როგორ სეირნობს ავსტრალიელი პატარა კენგურუსთან ერთად პარკში, მასთან ერთად დადის მაღაზიებში, მუშაობს და მას დაინტერესებულ ადამიანებს აცნობს.

ვიდეორგოლი გამოქვეყნებიდან ერთ დღე-ღამეში 15 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

## ხიჯაბიანმა მუსლიმანმა პლეიბოისთვის სურათები გადაიღო

ჟურნალისტი ნურ ტაგოური გახდა პირველი მუსლიმანი ქალი, რომელიც ხიჯაბს ატარებს და რომელმაც ჟურნალ პლეიბოის ამერიკული ვერსიისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთი ფოტოსურათი ჟურნალისტმა გოგონამ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.



– აი ისიც. პატივი მაქვს მოგითხროთ, რომ პლეიბოიმ 2016 წლის სერიის სახედ მაქცია, – დაწერა 22 წლის ტაგოურიმ ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

პროექტი, რომელშიც მუსლიმანმა გოგონამ მიიღო მონაწილეობა, მკითხველს ახალგაზრდა ადამიანების ისტორიებს მოუთხრობს, რომლებიც თავიანთი საყვარელი საქმის კეთებით არიან დაკავებულნი.

ფოტოსესიისთვის ტაგოური გამოეწყო ჯინსებში, მაისურსა და ტყავის ქურთუკში. ის ასევე პირველი მუსლიმანი ქალია, რომელიც აშშ-ში კომერციული ტელეარხის ეთერში მუშაობს.

პლეიბოის ნომერი, რომელშიც მუსლიმანი ჟურნალისტი ქალის ფოტოები იქნება გამოქვეყნებული, ოქტომბერში გამოვა.

## ნაომი უოტსი და ლივ შრაიბერი ერთმანეთს დაშორდნენ

ჰოლივუდის მსახიობები ნაომი უოტსი და ლივ შრაიბერი 11-წლიანი ურთიერთობის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ.



47 წლის უოტსმა და 48 წლის შრაიბერმა განაცხადეს, რომ მათთვის, როგორც ოჯახისთვის, საუკეთესო გამოსავალი დაშორება იქნება.

– ერთმანეთის დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და მეგობრობით ვაპირებთ გავაგრძელოთ ჩვენი შვილების აღზრდაზე ზრუნვა, ხოლო ჩვენს ურთიერთობაში ახალ ეტაპზე გადასვლა, – განაცხადეს მსახიობებმა.

წყვილმა ერთმანეთი 2005 წელს ნიუ იორკში საქველმოქმედო საღამოზე გაიცნო. ისინი ოფიციალურად დაქორწინებულები არ ყოფილან. მათ ჰყავთ ორი შვილი: შვიდი წლის სემუელი და რვა წლის ალექსანდრე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".

# ჩიხურამ დინამო დაამარცხა და თეთრ ჯგუფში გალიდერდა

**გარდამავალი ჩემპიონატი მე-2 წრეზე გავიდა და ახლა ლიდერის თუ აუტსაიდერის მიერ მოპოვებულ ყოველ ქულას დიდი ფასი ედება. ადვილი შესაძლებელია, ფინიშზე სწორედ რომ ერთმა ქულამ ამა თუ იმ გუნდის ბედზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს.**

**დინამო-ჩიხურა 1:2**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 ლექვთაძე (4), 1:1 დვალიშვილი (34), 1:2 ივანიშვილი (40)

**დინამო:** ლომაია, ლობჟანიძე, ამისულაშვილი, ჭელიძე, თევზაძე, ცინცაძე (ველევი 66), პარუნაშვილი, ჭანტურიშვილი, პაპუნაშვილი, კიტეიშვილი (ჯიღაური 64), დვალიშვილი (ლილუაშვილი 73)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, გრიგალაშვილი, კაშია, რეხვიაშვილი, განუგრავა, სარდალიშვილი (დეკანოიძე 87), კორიფაძე, დობროვოლსკი, ლექვთაძე (განუგრავა 76), ტატანაშვილი, ივანიშვილი (გორგიაშვილი 82)

დინამო არენაზე საქართველოს ჩემპიონატის მე-8 ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც დინამომ საჩხერის ჩიხურა მიიღო და მარცხი განიცადა. ამ მოგებით ჩიხურამ თეთრ ჯგუფში ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა, ხოლო ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ისევ კრიზისშია და სათუო არათუ ჩემპიონობა, არამედ ევროტურნირებიც კი გაიხადა.

მატჩი დინამოელთათვის არასასიამოვნოდ დაიწყო – უკვე მე-4 წუთზე სტუმართა შეტევა შედეგიანად ირაკლი ლექვთაძემ თავური დარტყმით დაასრულა – 0:1.

გაშვებულ გოლს გიორგი პაპუნაშვილმა ძლიერი დარტყმით უპასუხა, თუმცა ბურთი პირდაპირ მეკარეს მიუვიდა ხელებში. ტაიმის ნახევარი საათი დინამოელთა ტერიტორიულ უპირატესობით, განსაკუთრებული საგოლე მომენტების გარეშე და ხისტ ორთაბრძოლებში მიილია.

34-ე წუთზე მასპინძელთა შეტევამ შედეგი გამოიღო: უჩა ლობჟანიძის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი მცველმა უხეიროდ მოიგერია, ბურთთან პირველი ვლადიმერ დვალიშვილი გაჩნდა და ზუსტი დარტყმით წონასწორობა აღადგინა – 1:1. ეს დვალიშვილის პირველი გოლია დინამოს მაისურით.

თბილისელებმა გააგრძელეს ზეწოლა და მალევე გიორგი თევზაძემ გაისროლა შორი მანძილიდან, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ, სტუმრებმა ზუსტად გამოიყენეს კონტრშეტევა. მცველის მიერ მოგერიებული ბურთი გიორგი ივანიშვილის




მიუვიდა, რომელმაც საჯარიმოს მისადგომიდან ზუსტად დაჰკრა – 1:2.

მეორე ტაიმი გიორგი პაპუნაშვილის ახლო მანძილიდან არაზუსტი დარტყმით დაიწყო. 53-ე წუთისთვის თევზაძემ და ივანიშვილმა გაცვალეს საკმაოდ სახიფათო და ოდნავ არაზუსტი დარტყმები. ერთ წუთში გიორგი ლომაიამ ივანიშვილის ურთულესი დარტყმული მოიგერია და იხსნა თავისი გუნდის კარი. დარჩენილი დრო მასპინძელთა უშედეგო შეტევებში მიილია და ანგარიშიც, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, აღარ შეცვლილა.

**შუქურა-ტორპედო 2:1**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

1:0 კუტალია (35),1:1 მამასახლისი (71-პენ), 2:1 კუტალია (88)

**შუქურა:** ჯიოევი, ჯაფარიძე, მირცხულავა, ადამაძე, ჩაჩუა, ჭეჟია (მამულაშვილი 90), ჯეფინიო, ა.გურული (კონიჰეა 77), ჩელებაძე (ომანიძე 55), კუტალია, კომახიძე

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, გ.გურული, ჭიჭინაძე, ქიმაძე, ფალავანდიშვილი, მამასახლისი, ბაბუნაშვილი (საღრიშვილი 70), დოლიძე, ტუღუში (ენდელაძე 61), კვერნაძე (კაპანაძე 46)

ჩელე არენაზე ორივე გუნდს უაღრესად პრინციპული მატჩი ჰქონდათ. შუქურას აქამდე სამივე საშინაო თამაში ჰქონდა წაგებული და პირველ გამარჯვებას ჩემპიონატში ქობულეთელებმა სწორედ ტორპედოსთან მიაღწიეს.

საწყისი ნახევარი საათი ინიციატივას ტორპედოელები ფლობდნენ, ისინი ხშირად უტევდნენ, თუმცა მეტოქის საჯარიმოში შეღწევას ვერ ახერხებდნენ და ოდენ შორიდან ურტყამდნენ კარისკენ, დარტყმებს კი სიზუსტე აკლდა. ზღვისპირელები, ფაქტობრივად, კონტრიერიშებებზე აკეთებდნენ აქცენტს.

35-ე წუთზე მასპინძელთა შეტევის მარჯვენა ფლანგზე ჯარიმა დანიშნა და სტანდარტულიდან გიორგი ჩელებაძემ კარის ახლო კუთხისკენ გაგზავნა ბურთი, რომელიც როინ კვასხვაძემ კი მოიგერია, მაგრამ იქვე და შექმნილ არეულობაში ლევან კუტალიამ ბურთი ბადეში გადაგზავნა.

გაშვებული გოლის შემდეგაც უპირატესობა სტუმრებისა გახლდათ, ოღონდ მეტოქის კარს ტორპედოელები ისევ და ისევ მხოლოდ შორეული დარტყმებით ემუქრებოდნენ. აზამატ ჯიოევი კი ფხიზლად იდგა.

შესვენების შემდეგაც ქუთაი-

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

## შედეგები

**1 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სუონსი-ლივერპული ........ 1:2
ჰალი-ჩელსი ........ 0:2
სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი ........ 1:1
უოტფორდი-ბორნმუთი ........ 2:2
ვესტ ჰემი-მიდლსბრო ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-5 | 18 |
| 2.ლივერპული | 7 | 5 | 1 | 1 | 18-10 | 16 |
| 3.ტოტენჰემი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 |
| 4.ევერტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-5 | 14 |
| 5.არსენალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 6.ჩელსი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-9 | 13 |
| 7.მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-7 | 12 |
| 8.კრ.პალასი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| 10.საუთჰემპტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 11.უოტფორდი | 7 | 2 | 2 | 3 | 12-13 | 8 |
| 12.ბორნმუთი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-11 | 8 |
| 13.ლესტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 14.ბარნლი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| 15.ჰალი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-14 | 7 |
| 16.მიდლსბრო | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 17.სუონსი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-12 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 7 | 1 | 1 | 5 | 8-17 | 4 |
| 19.სანდერლენდი | 7 | 0 | 2 | 5 | 6-13 | 2 |
| 20.სტოკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-15 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ფულემი-ქპრ ........ 1:2
ბირმინგემი-ბლექბერნი ........ 1:0
ბრენტფორდი-უიგანი ........ 0:0
ბრისტოლი-ნოტინგემი ........ 2:1
ბარტონი-კარდიფი ........ 2:0
იფსვიჩი-ჰადერსფილდი ........ 0:1
ლიდსი-ბარნსლი ........ 2:1
პრესტონი-ასტონ ვილა ........ 2:0
რედინგი-დერბი ........ 1:1
როტერჰემი-ნიუკასლი ........ 0:1
უენსდი-ბრაიტონი ........ 1:2
ვულვზი-ნორვიჩი ........ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ლეგანესი ........ 0:1
სევილია-ალავესი ........ 2:1
ოსასუნა-ლას პალმასი ........ 2:2
დეპორტივო-ხიხონი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-6 | 14 |
| 2.სევილია | 7 | 4 | 2 | 1 | 13-10 | 14 |
| 3.ბარსელონა | 6 | 4 | 1 | 1 | 19-6 | 13 |
| 4.ატლეტიკო | 6 | 3 | 3 | 0 | 12-2 | 12 |
| 5.ვილიარეალი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| 6.ბილბაო | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| 7.ლას პალმასი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-13 | 11 |
| 8.ეიბარი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 9.სოსიედადი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-9 | 10 |
| 10.ლეგანესი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-10 | 10 |
| 11.ალავესი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| 12.დეპორტივო | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| 13.ბეტისი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-12 | 8 |
| 14.სელტა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| 15.ხიხონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-16 | 7 |
| 16.ვალენსია | 6 | 2 | 0 | 4 | 9-12 | 6 |
| 17.მალაგა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-8 | 5 |
| 18.ესპანიოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-14 | 5 |
| 19.ოსასუნა | 7 | 0 | 3 | 4 | 7-15 | 3 |
| 20.გრანადა | 7 | 0 | 2 | 5 | 7-16 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ალმერია ........ 2:0
ხიმნასტიკი-სევილია ბ ........ 1:1
ალკორკონი-ელჩე ........ 1:0
ლუგო-მალიორკა ........ 3:1
სარაგოსა-კორდობა ........ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-კიოლნი ........ 1:1
ჰერტა-ჰამბურგი ........ 2:0
ინგოლშტადტი-ჰოფენჰაიმი ........ 1:2
დარმშტადტი-ვერდერი ........ 2:2
ფრაიბურგი-აინტრახტი ........ 1:0
ლევერკუზენი-დორტმუნდი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 16-2 | 16 |
| 2.ჰერტა | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| 3.დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 16-6 | 12 |
| 4.კიოლნი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-3 | 12 |
| 5.ლაიპციგი | 6 | 3 | 3 | 0 | 11-5 | 12 |
| 6.გლადბახი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| 7.ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 4 | 0 | 11-9 | 10 |
| 9.აინტრახტი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 10.ფრაიბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 7-9 | 9 |
| 11.მაინცი | 5 | 2 | 1 | 2 | 12-11 | 7 |
| 12.აუგსბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| 13.ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 14.დარმშტადტი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-12 | 5 |
| 15.ვერდერი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-17 | 4 |
| 16.ინგოლშტადტი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-12 | 1 |
| 17.ჰამბურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-12 | 1 |
| 18.შალკე | 5 | 0 | 0 | 5 | 2-10 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ზ.პაული ........ 2:0
ფორტუნა-კარლსრუე ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

პესკარა-კიევო ........ 0:2
უდინეზე-ლაციო ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 6 | 5 | 0 | 1 | 12-4 | 15 |
| 2.ნაპოლი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-5 | 14 |
| 3.ლაციო | 7 | 4 | 1 | 2 | 13-7 | 13 |
| 4.კიევო | 7 | 4 | 1 | 2 | 9-6 | 13 |
| 5.ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 6.რომა | 6 | 3 | 1 | 2 | 14-8 | 10 |
| 7.მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 8.ბოლონია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-10 | 10 |
| 9.სასუოლო | 6 | 3 | 0 | 3 | 6-8 | 9 |
| 10.ტორინო | 6 | 2 | 2 | 2 | 11-7 | 8 |
| 11.ჯენოა | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 12.ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 13.კალიარი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-12 | 7 |
| 14.უდინეზე | 7 | 2 | 1 | 4 | 6-12 | 7 |
| 15.ატალანტა | 6 | 2 | 0 | 4 | 9-12 | 6 |
| 16.პესკარა | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 17.სამპდორია | 6 | 2 | 0 | 4 | 6-9 | 6 |
| 18.პალერმო | 6 | 1 | 2 | 3 | 3-7 | 5 |
| 19.ემპოლი | 6 | 1 | 1 | 4 | 2-8 | 4 |
| 20.კროტონე | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-პრო ვერჩელი ........ 3:2
ბენევენტო-ნოვარა ........ 1:0
ფროზინონე-პერუჯა ........ 1:2
სპალი-სალერნიტანა ........ 3:2
ტერნანა-ვერონა ........ 0:3
ტრაპანი-ჩიტადელა ........ 0:2
ენტელა-ვიჩენცა ........ 4:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ბორდო ........ 2:0
ლილი-ნანსი ........ 1:0
დიჟონი-მონპელიე ........ 3:3
ნანტი-ბასტია ........ 1:0
კაენი-ტულუზა ........ 1:0
მეცი-მონაკო ........ 0:7

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 8 | 6 | 1 | 1 | 22-9 | 19 |
| 2.ნიცა | 7 | 5 | 2 | 0 | 12-4 | 17 |
| 3.პსჟ | 8 | 5 | 1 | 2 | 17-6 | 16 |
| 4.ტულუზა | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 14 |
| 5.ბორდო | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 6.რენი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 7.მეცი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-15 | 13 |
| 8.სტ.ეტიენი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-6 | 12 |
| 9.გენგამი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-8 | 11 |
| 10.ლიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 13-9 | 10 |
| 11.ბასტია | 8 | 3 | 1 | 4 | 6-6 | 10 |
| 12.კაენი | 8 | 3 | 1 | 4 | 7-14 | 10 |
| 13.ანჟე | 7 | 3 | 0 | 4 | 7-8 | 9 |
| 14.მარსელი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-9 | 8 |
| 15.დიჟონი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-13 | 8 |
| 16.ნანტი | 8 | 2 | 2 | 4 | 4-8 | 8 |
| 17.მონპელიე | 8 | 1 | 4 | 3 | 9-15 | 7 |
| 18.ლილი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-14 | 7 |
| 19.ლორიანი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-11 | 6 |
| 20.ნანსი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-10 | 5 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სტრასბური-ვალანსიენი ........ 2:4

**ჰოლანდია. ეირედივიზიონი**

იგლზი-ექსელსიორი ........ 3:0
ჰერენვენი-პსვ ........ 1:1
როდა-ნაიმეგენი ........ 0:1
ვიტესი-გრონინგენი ........ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ეშტორილი ........ 1:2
შავიში-ბელენენსეში ........ 3:1
გიმარაეში-სპორტინგი ........ 3:3
ნასიონალი-პორტუ ........ 0:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-ურალი ........ 1:1
კრილია-ანჟი ........ 2:1
ლოკომოტივი-არსენალი ........ 1:1
ტერეკი-ორენბურგი ........ 2:1

**შოტლანდია. სუპერლიგა**

დანდი-სელტიკი ........ 0:1
ჰამილტონი-ინვერნესი ........ 1:1
კილმანროკი-აბერდინი ........ 0:4
რეინჯერსი-პარტიკი ........ 2:0
როსი-სტ.ჯონსონი ........ 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-სიონი ........ 2:5
ბაზელი-თუნი ........ 1:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ვარეგემი-შარლერუა ........ 1:1
ვესტერლო-ბევერენი ........ 1:0
ეუპენი-მუსკრონი ........ 1:4
ლოკერენი-კორტრაიკი ........ 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ალტახი ........ 1:2
ადმირა-მატერსბურგი ........ 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-იანინა ........ 0:1
ლევადიაკოსი-ლარისა ........ 1:1
ირაკლისი-პანიონიოსი ........ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-ტრაბზონი ........ 4:0
ქაშიმფაშა-ქაისერი ........ 3:1
გაზიანთები-ბურსა ........ 3:2
რიზე-ბეშიქთაში ........ 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბოლესლავი-დუკლა ........ 1:0
ზლინი-იაბლონეცი ........ 2:2
პრჟიბრჟამი-სლოვაცკო ........ 0:1
სლავია-კარვინა ........ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-პიასტი ........ 1:2
პლოცკი-ვისლა ........ 2:3
**პლოცკის მე-2 გოლი გიორგი მერებაშვილმა გაიტანა**
ლეგია-ლეხია ........ 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

სტალი-ჩერნომორეცი ........ 1:2
ვორსკლა-ოლიმპიკი ........ 1:2
დნიპრო-ოლექსანდრია ........ 1:4

**დანია. სუპერლიგა**

ჰორსენსი-ესბიერგი ........ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

სუნდსვალდი-იონჩოპინგი ........ 3:1
ჰაკენი-მალმიო ........ 2:4
ესტერსუნდი-ფალკენბერგი ........ 6:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტაბეკი-ლილესტრიომი ........ 1:2
სონგდალი-ბრანი ........ 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კემი-სეინეიოკი ........ 1:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ბაშკირელმა კატაფალკა სახელფასო დავალიანებისთვის გაიტაცა




ბაშკირეთის ბირის რაიონის დამკრძალავი ბიუროდან გათავისუფლებულმა თანამშრომელმა კატაფალკა გაიტაცა. ამ ინფორმაციას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

კატაფალკის დაკარგვის თაობაზე განცხადებით პოლიციას ბიუროს მფლობელმა მიმართა. რამდენიმე საათის შემდეგ ეჭვმიტანილი, 27 წლის ადგილობრივი მცხოვრები დააკავეს. როგორც გაირკვა, მან ორგანიზაციაში სამი თვე იმუშავა და სამსახურიდან გათავისუფლდა.

– გათავისუფლების შემდეგ მან მოისურვა, მას მისი კუთვნილი ანაზღაურების ნაწილი არ მისცეს და ამიტომ გადაწყვიტა, მანქანა გაეტაცებინა, – ნათქვამია სამართალდამცავი ორგანოების განცხადებაში.

მანქანის გატაცებასთან საკუთარ კავშირს დაკავებული არ უარყოფს. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## ბრაზიანი კატა მიუზიკლ „კატებს“ დაესწრო

ინტერნეტვარსკვლავი ბრაზიანი კატა ნიუ იორკის ნილ საიმონის თეატრში მიუზიკლ „კატებს“ დაესწრო. ეს ინფორმაცია შინაური ცხოველის ტვიტერით ვრცელდება.

ბლოგში ტერდისა და მსახიობების ერთობლივი ფოტოსურათებია განთავსებული. ასევე კატას შემოქმედებითი ჯგუფის საპატიო წევრის სერტიფიკატი გადაეცა.

კატა ტერდი ინტერნეტში პოპულარული საკუთარი სახის გამომეტყველების წყალობით გახდა. მას სახეზე მუდმივად უკმაყოფილება აქვს აღბეჭდილი და სწორედ ამიტომ შეარქვეს მეტსახელად ბრაზიანი კატა. ფეისბუქში მის აკაუნტს რვა მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, ინსტაგრამში – 1,6 მილიონი, ტვიტერში კი მის ცხოვრებას თვალს დაახლოებით 400 ათასი ადამიანი ადევნებს.




## სირიელმა მაშველებმა ნანგრევებიდან ახალშობილი ამოიყვანეს

სირიელმა მაშველებმა ქალაქ იდლიბის დაბომბვის შემდეგ ნანგრევებიდან ახალშობილი გოგონა ამოიყვანეს.

ახალშობილი სულ 30 დღისაა. როდესაც გაირკვა, რომ გოგონა ცოცხალია, მოხალისე მაშველმა აბუ კიფამ, რომელსაც ახალშობილამდე მისაღწევად ორი საათი დასჭირდა, ცრემლები ვეღარ შეიკავა. გადარჩენილი ბავშვის შემდგომი ბედი უცნობია.





ასევე ტირილი ვერ შეიკავა ბი-ბი-სის ახალი ამბების წამყვანმა კეიტ სილვერტონმა, როდესაც ის ეთერში ვიდეოჩანაწერს უკეთებდა კომენტარს, რომელზეც ასახული იყო, თუ როგორ მიჰყავდა კიფას გოგონა ექიმების მანქანისკენ. მას ტირილი არც შემდგომი ახალი ამბის წაკითხვისას შეუწყვეტია, მოგვიანებით კი ტვიტერში დაწერა, რომ მისი სამუშაო იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა იყოს მიუკერძოებელი და შეუვალი, მაგრამ ისიც ხომ ადამიანია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ტაილანდელმა მოდელმა პროტესტის ნიშნად გუბეში იბანავა

ტაილანდის პროვინცია ტაკში მოდელმა გუბეში იბანავა, რათა ამით რეგიონში ცუდი გზების მიმართ ქვეყნის ხელისუფლების ყურადღება მიეპყრო.



მოდელი, სახელად პალმი, ბანგკოკში ცხოვრობს, თუმცა ის რეგულარულად სტუმრობს თავის ნათესავებს პროვინციაში. გოგონამ, რომელსაც ყოველ ჯერზე ძველი დანგრეული გზების გავლა უწევს, საპროტესტო აქცია გამართა. მან სხეულზე პირსახოცი შემოიხვია და გუბეში იბანავა. მოდელს იმედი ჰქონდა, რომ ასეთი სახით შეძლებდა ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას მაე რამას რაიონში გზების შეკეთებისთვის.

საპროტესტო აქციაში, მხოლოდ საკუთარ რეგიონებში, ტაილანდის სხვა მოქალაქეებმაც მიიღეს მონაწილეობა. მაგალითად, ხანდაზმულმა ქალებმა კხონკენსის პროვინციიდან პალმის საქციელი გაიმეორეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის ხელისუფლებას პროვინციებში გზების შეკეთების სამუშაოები ბოლო 30 წელია, არ უწარმოებია.

## ასტროპროგნოზი

### 3 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჩიხურამ დინამო დაამარცხა და თეთრ ჯგუფში გალიდერდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

სელები მეტოქეზე ხშირად ფლობდნენ ბურთს, მაგრამ შეტევებს სათანადოთ ვერ ამწვავებდნენ. მხოლოდ 71-ე წუთზე იყო, გიორგი ქიმაძემ სახიფათო გადაცემა გააკეთა ქობულეთელთა საჯარიმოში თორნიკე კაპანაძისკენ, რომელსაც მცველი ეუხეშა და არბიტრმა 11-მეტრიანი დანიშნა. ოლეგ მამასახლისმა პენალტი გოლად გარდასახა – 1:1.

შემდეგ ჯიოევმა ორჯერ იხსნა საკუთარი კარი აშკარა გოლისგან. ტორპედოელებმა ვეღარ, მაგრამ მასპინძლებმა გამარჯვების გოლი კი გაიტანეს – ტორპედოელთა მცველების მიერ მიყოლებით დაშვებულ შეცდომებს კუტალიას დუბლი მოჰყვა.

**ცხინვალი-გურია 2:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 დინიზი (22), 1:1, 2:1 დვალი (72პ, 86)

**ცხინვალი:** ნადირაძე, მაისაშვილი, კაჭკაჭიშვილი, ცერცვაძე, ბაჩიაშვილი, ქოჩლაძე (მაქაცარია 60), სულთანიშვილი, ქარდავა, მახარობლიძე, დვალი (გელაშვილი 90), კახელიშვილი (შინდაგორიძე 46)

**გურია:** იმერლიშვილი, ჭეიშვილი, ჩადუნელი, კაბორე, ნოზაძე, მოროზენკო, კირკიტაძე, ჭეჭელაშვილი, ჭედია, დინიზი (იმნაძე 66), მურაშოვი

ცხინვალმა უშუალო კონკურენტი დაამარცხა – კახა კაჭარავას გუნდმა, „მიხეილ მესხის“ სათადარიგო მოედანზე ლანჩხუთის გურია მიიღო და დრამატულ ბრძოლაში, 2:1 მოიგო.

ანგარიში 22-ე წუთზე გურულებმა გახსნეს და 72-ე წუთამდე იგებდნენ კიდეც, მაგრამ მატჩის მიწურულს ცხინვალელთა შემტევმა, ჯაბა დვალმა დუბლი გაიფორმა და გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 7 | 5 | 1 | 1 | 14-7 | 16 |
| 2.ლოკომოტივი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 11 |
| 3.დინამო (თბ) | 7 | 2 | 4 | 1 | 9-5 | 10 |
| 4.გურია | 7 | 2 | 2 | 3 | 6-9 | 8 |
| 5.ცხინვალი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-13 | 7 |
| 6.შუქურა | 7 | 1 | 3 | 3 | 5-9 | 6 |
| 7.ტორპედო | 7 | 1 | 3 | 3 | 5-8 | 6 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## სკანვორდი



1. სუსტი ქარი; 2. წყლისპირა მცენარე; 3. გერმანული ავტომარკა; 4. მსახიობი ... ბოცვაძე; 5. სახელმწიფო (მელანეზია, წყნარი ოკეანე); 6. „ჩვენი ...“ (რ.ჩხეიძის ფილმი); 7. მაუგლის მეგობარი პითონი; 8. პატარა საწნახელი; 9. ... უიზერსპუნი; 10. ინგლისელი ფილოსოფოსი (1632-1704); 11. კომში; 12. მიწათმფლობელი შოტლანდიაში; 13. ფრანგული ვაზის ჯიში; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 15. რისამე თავგამოდებით დამცველი; 16. მღვდელი საფრანგეთში; 17. „ყველა ბილეთი გაყიდულია“; 18. სინაგოგა; 19. ინდოელი ქალის კაბა; 20. აღმოსავლეთი; 21. ზომიერი ტემპი (მუს.); 22. ... ემხვარი (პერს.); 23. პატარა სარწყავი არხი; 24. რელიეფური საბეჭდი ფორმა (პოლიგრ.); 25. ქალაქი ესპანეთში; 26. მწერალი ... თაბუკაშვილი; 27. თოვლის ფიფქი; 28. „ოტელოს“ პერსონაჟი; 29. ცხენის გასარეკი შოლტი; 30. პერსონაჟი თაქთაქიშვილის ოპერისა „მინდია“; 31. ტუჩოსანთა ოჯახის დაბალი მცენარე; 32. ზ.ქაფიანიძის კინოროლი; 33. ქალბატონი (ფრანგულად); 34. ქალთა ქართული ცეკვა; 35. ღამის ფრინველი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაზუისტიკა; 2. რადონი; 3. თურინჯი; 4. ხირსა; 5. კლირინგი; 6. „ვოლვო“; 7. „ჰილტონი“; 9. ფაველა; 13. „ლოიდი“; 17. ელია; 18. ჩაი.

**თარაზულად:** 1. „კაიზერი“; 3. თაბახი; 8. ილიონი; 10. ბოქსიტი; 11. ფიჭვი; 12. „ჩამპინო“; 14. ატელიე; 15. „ხრიდოლი“; 16. გუელი; 19. მადერა; 20. ჰარლემი; 21. ახტალა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰიტი; 2. სინჯი; 3. ტვისტი; 5. ურალი; 6. ნიჟარაძე; 8. პრეფერანსი; 10. ტიბალტი; 12. ბონდერი; 14. ბეშუმი; 15. ბატიკა; 16. ოჰარა.

**თარაზულად:** 1. ჰენესი; 4. პულმანი; 7. ხანძთა; 9. ტუნიკა; 11. გერუსია; 12. ბალავაძე; 13. ჟაკანი; 17. პრერია; 18. ანსა; 19. ფრენბურთი; 20. სიბარიტი.

# ვიდეორგოლი აჭარაზე მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების ეთერშია



აჭარაში ტურისტული სეზონის გასახანგრძლივებლად ადგილობრივმა ხელისუფლებამ სპეციალური ვიდეორგოლი დაამზადა, რომელიც მსოფლიოს წამყვანი ტელეარხების ეთერში გადის.

აჭარაზე მომზადებული რუსულენოვანი ვიდეორგოლი დისქავერი ჩენელზე, მაი პლანეტზე, ეურონიუს მოსკოვსა და ეურონიუს ესპიბის ტელეეთერში ტრიალებს. ტელეარხებს მილიონობით მაყურებელი ჰყავს. მხოლოდ დისქავერი ჩენელს აჭარის ტურიზმზე გათვლილ ქვეყნებში 70 მილიონი ადამიანი უყურებს.

ვიდეორგოლი ასევე გადის აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთისა და უკრაინის ტელევიზიებშიც. სწორედ ამ ქვეყნებიდან სტუმრობს აჭარას ყველაზე მეტი ტურისტი.

მომზადებულ ვიდეორგოლში აქცენტი გაკეთებულია ზღვაზე, ველურ ბუნებაზე, ეგზოტიკურ კულტურაზე, ეკოტურიზმზე, მრავალფეროვან ღამის გართობაზე, ფოლკლორზე, სამზარეულოზე, სიყვარულსა და აზარტზე.

# იშხანში XI საუკუნის იატაკი გამოვლინდა



ტაო კლარჯეთში მდებარე ერთ-ერთ ქართულ ტაძარში, იშხანში, სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს XI საუკუნის იატაკი გამოვლინდა.

ინფორმაცია ხელოვნებათმცოდნე ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა გაავრცელა:

– იშხანში XI საუკუნის იატაკი გამოვლინდა, ძალიან ლამაზი, სანიმუშო, ყოველმხრივ მნიშვნელოვანი.

იგი ძალიან ფაქიზი იქნება, ფერადი ხსნარით ნაძერწი, დიდი ხნის მიწაში ყოფნით იოლად დაშლადიც. ამიტომ ახლა მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება. საკმაოდ დიდი მოცულობაა და ამ ამოცანის გადაჭრა არ იქნება იოლი.

# ვინ ცდილობს ფოთის თეატრის პოლიტიკაში ჩართვას?



ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი დავით მღებრიშვილი თეატრის სახელით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და კატეგორიულად გმობს იმ სიბინძურეს, რომელიც მათი თეატრის მიმართ განხორციელდა:

– ჩემი და ფოთის თეატრის სახელით მინდა, ერთი განცხადება გავაკეთო!

134-ე სეზონის გახსნის წინ, რამდენიმე საათით ადრე შევიტყვეთ, რომ ჩვენი სპექტაკლის აფიშები, რომელიც ფოთის სხვადასხვა უბანში იყო გაკრული, გამოყენებული იყო, სავარაუდოდ, პოლიტიკური ოპონენტის დისკრედიტაციის მიზნით!

პირადად მე და ჩვენი თეატრის უკლებლივ ყველა თანამშრომელი კატეგორიულად გმობს ამგვარ ბინძურ ქმედებას! კატეგორიულად მოვითხოვთ, მომხდარი აღარ განმეორდეს მომავალში! თეატრი აპოლიტიკური ორგანიზაციაა და არ ჩაერთვება არანაირ პოლიტიკურ თუ ვინმეს პირადულ ინსინუაციებში! წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიტოვებთ უფლებას, მივმართოთ შესაბამის ორგანოებს!

# ფილარმონიის დეკორატორს დახმარება სჭირდება



ფილარმონიის ყოფილ დეკორატორ არჩილ ჯაფარიძეს საზოგადოების დახმარება სჭირდება. იგი ავლაბრის ქუჩაზე 6 კვადრატული მეტრის პატარა ოთახში ცხოვრობს, სადაც საშინელი ნესტია და ბაღლინჯოებიც მრავლად არიან.

ინფორმაციასა და ფოტოებს არჩილ ჯაფარიძის უმძიმესი მდგომარეობის შესახებ ფონდი „სოციალური პარტნიორობა" ავრცელებს:

– არჩილ ჯაფარიძეს ცოტა ხნის წინ კარგი ჯანმრთელობა, სახლი და საინტერესო სამსახური ჰქონდა, დეკორატორად მუშაობდა ფილარმონიაში. მაგრამ არაფერია ამქვეყნად სამუდამო.

ბოლო დროს ბატონი არჩილის მდგომარეობა ავადმყოფობის გამო გაუარესდა. მას ტროფიკული წყლული განუვითარდა, კიდურები დაუსივდა, ჭრილობებიდან ჩირქი სდის... არჩილს საშინელი ტკივილები აწუხებს, სამკურნალოდ ფული არ აქვს და დახმარების სათხოვნელადაც ვერავის მიმართავს!

ის მუყაოზე საწერი კალმით ხატავს და ნამუშევრებს სიმბოლურ ფასად ყიდის.

თქვენი უმნიშვნელო დახმარება და მცირეოდენი ყურადღება ამ მარტოხელა ადამიანს ცხოვრებას შეუმსუბუქებს.

თუ გსურთ, დაეხმაროთ ბატონ არჩილს, დარეკეთ სპეციალურ ნომერზე: 0901 200 270.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## 90 წლის ჰიუ ჰეფნერის მდგომარეობა გაუარესდა

ჟურნალ ფლეიბოის დამაარსებელი, 90 წლის ჰიუ ჰეფნერი, მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და წონის მძლავრი დაკარგვისგან იტანჯება. ამ ინფორმაციას ამერიკული პრესა ავრცელებს.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰეფნერი საზოგადოებაში უკვე რამდენიმე თვეა, არ გამოჩენილა.

– ის ისე გამოიყურება, თითქოსდა 40 კილოგრამზე მეტს არ იწონიდეს და ძალიან ავადაა. მისი ახლობლები ცდილობენ, ეს ინფორმაცია საიდუმლოდ შეინახონ. მის სტუმრებს მასთან შეხვედრამდე შეხვედრის კონფიდენციალურობაზე შეთანხმებაზე ხელის მოწერა უწევთ, – განაცხადა ჰეფნერის გარემოცვასთან დაახლოებულმა პირმა.

27 აგვისტოს ჰეფნერმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის, აბრეშუმის პიჟამოში გამოწყობილი, სალამოს წვეულებაზე ყოფნისას არის აღბეჭდილი. ღონისძიების სტუმრებს მისი შვილი, კუპერი, ხვდებოდა.

მედიაში აღნიშნავენ, რომ მილიონერი მაისში მოდელ იუჯინა ვაშინგტონთან შეხვედრისას ცუდად გამოიყურებოდა.

კალეიდოსკოპი

## სალვადორელი 18 წელი ტყეში გვირაბს თხრიდა

სალვადორის მცხოვრები სანტიაგო სანჩესი 18 წელია, სელვას ტყეში გვირაბს თხრის. მისი თქმით, ის ამას ზეციდან მომავალი მითითებით აკეთებს.

სანჩესი, რომელიც სალვადორის ქალაქ ბერლინში ცხოვრობს, ამტკიცებს, რომ მას ღმერთის ხმა ჩაესმა, რომელმაც მას უბრძანა, თხრა დაეწყო. 69 წლის მამაკაცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აპირებს, თავი ამ საქმეს მიუძღვნას და მხოლოდ ძილის დროს ისვენებს.



მისი თქმით, ზეციურმა ხმამ მას უბრძანა, ყოველდღე 90 ფუნტი (40 კილოგრამი) მიწა და ქვები ამოიღოს. მისივე თქმით, ის ყოველ ღამე სამ საათზე იღვიძებს და გვირაბისკენ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ არ იცის, სად მიიყვანს და რისთვისაა ის საჭირო. სანჩესისთვის ასევე უცნობია, როდის დადგება მუშაობის შეწყვეტის დრო.

ერთ-ერთმა პირმა, რომელიც შეეცადა, გვირაბში შესულიყო, განაცხადა, რომ მან მხოლოდ მანძილის ნახევრის გავლა შეძლო და გზა ველარ გააგრძელა, ვინაიდან სულის ხუთვა დაეწყო. ამის პასუხად სანჩესმა განაცხადა, რომ ეს გასაკვირი სულაც არ არის, ვინაიდან ბოლომდე გავლის უფლება მხოლოდ მას აქვს მინიჭებული.

მამაკაცის მეუღლე ისაბელ ვენტურას თქმით, ბევრი მის ქმარს გიჟად მიიჩნევს, თუმცა მას ეს სრულიად არ ადარდებს.

– არავინ იცის, თუ რას მოითხოვს მისგან უფალი, – ამბობს ის.

სელვა ნესტიანი, ერთ-ერთი ყველაზე უხვნალექიანი ეკვატორული ტყეა სამხრეთ ამერიკაში. ის ეკვატორულ და სუბეკვატორულ სარტყლებში მდებარეობს.

## იაპონურმა კატებმა და ძაღლებმა დღეგრძელობის რეკორდი დაამყარეს



იაპონიაში კატებისა და ძაღლების სიცოცხლის ხანგრძლივობამ ისტორიული რეკორდი დაამყარა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ტოკიოს სოფლის მეურნეობისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მეცნიერები ქვეყნის ვეტერინარული ასოციაციის ექსპერტების მონაწილეობით.

გაირკვა, რომ ქვეყანაში ძაღლები საშუალოდ 13,9 წლამდე ცოცხლობენ, ხოლო კატები – 11,9 წლამდე. შინაური ცხოველების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დადებითად იმოქმედა აცრებმა, რომლებიც მათ უტარდებათ, ვეტერინარულმა დახმარებებმა, უფრო ხარისხიანმა საკვებმა და მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირებამ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იაპონიაში შინაური ცხოველების რაოდენობა 19,8 მილიონია. ეს აღემატება ბავშვების რაოდენობას, რომლებსაც ჯერ 14 წელი არ შესრულებიათ (15,9 მილიონი). ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში შობადობის დაბალი დონე და ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა იწვევს იმას, რომ მარტოხელა ადამიანებს საპატრონოდ შინაური ცხოველები აჰყავთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

დოდო და ზურაბ ანთიები ოჯახით იუწყებიან უსაყვარლესი ბიძაშვილის

**ჯეირან რაჟდენის ძე ანთიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: სამშაბათს, 4 ოქტომბერს;

გამოსვენება: თევდორე მღვდლის ქუჩა №5ა, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ორშაბათი 3 ოქტომბერი**

**06.00** დ/ფ "ჰოლივუდი" **07.00** დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. როგორი იქნება სამყაროს დასასრული" **08.00** ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**იდეალური მამაკაცი**" **14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00, 22.30** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. მეგაშტორმი" **20.00** მოამბემოამბის სტუმარი **21.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **23.30** მხ/ფ "**ჯო ტაინანის ცდუნება**" (მ.სტრიპი) **01.20** მხ/ფ "**სიყვარული თუ ფული**"

**08.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** მხ/ფ "**წითელი კედები**" **12.00** ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00, 22.30** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **18.00** "არჩევნები **2016**" **20.00** "მოამბე" **21.00** "არჩევნები **2016**" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** ს დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ღია ეთერი–თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**განსაკუთრებული აზრი**" **02.15** მხ/ფ "**ეს უხერხული მომენტი**" **03.50** მხ/ფ "**სახიფათო ბანგკოკი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** არჩევანი - **2016 00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი-ღირსი მამა კვირიაკესთან **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ნერგები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **16.25** სპექტაკლი "**კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა**" **17.30** ჩვენი ფონდი **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**რაც გინახავს ვეღარ ნახავ**" **20.40** ძილი ნებისა "ლიდია უფლის ოჯახს ეგებება" **21.30** პატერიკი-განშორებილი სულის სხეულიდან გასვლა **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ქრისტიანული სწავლება **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.00** სერ. "**ვერონიკა**" **14.05, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35, 2.00** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **19.45** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "ღამის კონტაქტი" **23.10** სერ. "**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.3297

ევრო — 2.6037

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0226

100 რუსული რუბლი — 3.6790

## ამინდის პროგნოზი 3 ოქტომბრისთვის





## 30 სექტემბრიდან სოლომონ მეფის საგანძური

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მაგარი ყდა, 248 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




## 4 ოქტომბრიდან ღვინის დაგემოვნება




მაგარი ყდა
208 გვერდი
ფორმატი 17/22,5

„პრაქტიკული კურსი – ღვინის დაგემოვნება“ დაგეხმარებათ, აღმოაჩინოთ მსოფლიოს საუკეთესო ღვინოები; გაიგოთ, სურნელისა და არომატის როგორი ბუკეტი ახასიათებს ამა თუ იმ ღვინოს და რას ნიშნავს ღვინის სხეულიანობა, სიღრმე, სიხალასე თუ სისავსე.

აქვე ქართული ღვინოების შესახებაც იპოვით ინფორმაციას და წაიკითხავთ მსოფლიოში უნიკალური, ქვევრში ღვინის დაყენების ძველი ქართული მეთოდის შესახებ.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## კარდაშიანი უკრაინელ ჟურნალისტს უჩივლებს

ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი აპირებს, უკრაინელი ჟურნალისტის ვიტალი სედიუკისგან, რომელიც შეეცადა, პარიზში მოდის კვირეულის დროს მისთვის დუნდულებზე ეკოცნა, თავი სასამართლოთი დაიცვას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კარდაშიანი სარჩელში აპირებს მოითხოვოს, რეპორტიორთან მიმართებით სასამართლომ ამკრძალავი ბრძანებულება მიიღოს, ასევე ის აპირებს, განცხადებით მიმართოს საფრანგეთის პოლიციას.






– რეპერ კანიე უესტის მეუღლე უკრაინელის ქმედებას განიხილავს, როგორც მისთვის და სხვებისთვის მუდმივი საფრთხის შემცველს. ის მიიჩნევს, რომ სედიუკი არ გაჩერდება, სანამ ამ ყოველივესთვის სათანადოდ არ მიეზღვება, – განაცხადა ტელევარსკვლავთან დაახლოებულმა პირმა.

ეს კარდაშიანთან მიმართებით სედიუკის უკვე მეორე სკანდალური გამოხდომაა. 2014 წლის სექტემბერში, ასევე პარიზში მოდის კვირეულის დროს, ის შეეცადა, ტელევარსკვლავი მიწაზე წაექცია, როდესაც ის მანქანიდან გადმოვიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

სუფრაზე თამადა სადღეგრძელოს ამბობს:

– მოდით, მათი სადღეგრძელო შევსვათ, ვინც ჩვენს გვერდით აღარ არიან...

– ჰო, და ლაც შეიძლება ჩქალა, სენი წილიმე, სანამ მოსულან! – უპასუხა ოსმა.

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამა, დედა რაში გჭირდება?

– იმისთვის, რომ მწარე რეალობა არ დამავიწყდეს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მომავალ კვირაში სითბოს გვპირდებიან.

– მერე, მეტეოროლოგების გჯერა?

– არა, ეს ხელისუფლებამ გამოაცხადა.

– მართლა? მეტეოროლოგების ნდობა უფრო მეტია...

●●●

პუტინი გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების საბავშვო ბაღში მივიდა და პირველივე ბავშვს ეკითხება:

– რა გქვია?

– არ ვიცი.

ბავშვს კარნახობენ: „ვასია! ვასია!“

– ვასია, – უპასუხა ბავშვმა.

– ყოჩაღ! დღეს კვირის რომელი დღეა?

– არ ვიცი!

– დედას რა ჰქვია?

– არ ვიცი!

– სად იმყოფები?

– არ ვიცი!

– და მე ვინ ვარ იცი?

– ვიცი!

პუტინის თანმხლებნი გამხიარულდნენ, პუტინს იცნობსო.

– ვინ ვარ?

– ახალი ბავშვი!!!

●●●

ხანდაზმული ცოლ-ქმარი დილით მაგიდასთან ზის და საუზმობს. ცოლი ქმარს დიდხანს უყურებს და ბოლოს ეკითხება:

– ძვირფასო, მითხარი, ისევ გიყვარვარ?

– აუუ, არ მოგბეზრდა ყოველი დილის სკანდალით დაწყება?

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– შენს მანქანაში, როგორი ცუდი სუნია.

– აბა რა იქნება, 120 ცხენს უდრის...

●●●

კაცი აგიზგიზებულ ბუხართან ზის, ცოლი კი აქეთ-იქით დადის და რაღაცას ეძებს. ბოლოს და ბოლოს ქმარი ეკითხება:

– რას დარბიხარ წინ და უკან და დაეძებ?

– წიგნს ვერ ვპოულობ.

– რომელ წიგნს?

– როგორ ვიცხოვროთ ასი წელი.

– ეგ წიგნი ბუხარში შევაგდე.

– რათა, კაცო?

– დედაშენი ნამეტანი დაინტერესდა და იმიტომ...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– რა სულელი ვიყავი, შენ რომ გამოგყევი.

– ჰო, შენით ისე ვიყავი გატაცებული, რომ ეგ ვერ შევნიშნე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 6 ოქტომბრიდან

ჩემი პირველი სიტყვები
ჩემი დღე

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი







## 7 ოქტომბრიდან

ქართული ხალხური ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

მაგარი ყდა. ფერადი გვერდები


## საუდელმა პრინცესამ პარიზელი აიძულა, მისთვის ფეხები დაეკოცნა



პარიზში საუდის არაბეთის პრინცესამ პარიზელი მხატვარი და დეკორატორი აიძულა, ოთხი საათის განმავლობაში მისთვის ფეხები ეკოცნა.

ინციდენტი ქუჩა ფოშზე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა, რომლის ვინაობა არ მჟღავნდება, თავისი სამუშაოსთვის, სახლის დეკორისთვის რამდენიმე ფოტოსურათი გადაუღო აპარტამენტებს, რომელშიც არაბი პრინცესა იმყოფებოდა. ამის დანახვაზე ფეისალმა, ყოფილი მეფის იბნ აბდულ-აზიზ ალ საუდის ქალიშვილმა, იფიქრა, რომ ფრანგი სურათების მასმედიისთვის მიყიდვას აპირებდა. მან პირად მცველებს უბრძანა, მამაკაცისთვის ხელ-ფეხი შეეკრათ, მისთვის სამუშაო ინსტრუმენტები წაერთმიათ, რის შემდეგაც ის აიძულა, მისთვის ფეხები დაეკოცნა.

– ეს ძაღლი უნდა მოგეკლათ. ის სიცოცხლის ღირსი არის, – ასე მიმართა პრინცესამ თავის პირად მცველებს, რომელსაც ერთ-ერთი ფრანგული პორტალი ავრცელებს. აღსანიშნავია, რომ მხატვარმა თავდასხმის ბრალდებით პოლიციას მიმართა. მამაკაცმა, რომელსაც თავის ტრავმა აქვს მიყენებული, პრინცესასგან კომპენსაციის სახით 20 ათასი ევრო და ასევე მისი შრომის ანაზღაურება მოითხოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 4. მოკლეთითებიანი აფრიკული მაიმუნი; 7. ქრომის მინერალური საღებავი; 9. ქიმიური ელემენტი; 12. ... მიმინოშვილი (პერს.); 13. გერმანული ავტომობილი; 14. ნავსადგური; 17. პატარა ჭრელი ჩიტი; 18. სამყაროს აღწერილობა; 19. კუნთების ანთება; 20. სუფრის წინამძღოლი.

**შვეულად:** 1. სამგზავრო გემის ზედა გემბანი; 2. გაზავებული რომი, რომელსაც ცხლად სვამენ; 3. ძალა, ღონე; 4. ჯიუტი; 5. პირობითი ასოითი ნიშანი; 6. პატარა ქირურგიული დანა; 8. დადებული ნამის რაოდენობის გასაზომი ხელსაწყო; 10. სრული ან ნაწილობრივი გაშეშება; 14. ... ბერლიოზი; 15. ხის მწვანე ბაყაყი; 16. პარკოსანი მცენარე.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**